# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

9 მარტი შაბათი 1991 № 28 (11661)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


## საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში

# ბალყარელ ხალხს

**ძვირფასო** დებო და ძმებო!

ბალყარელთა და ქართველთა ძმობას, კეთილმეზობლობასა და მშვიდობიან თანაცხოვრებას მრავალსაუკუნოვანი, საამაყო ისტორია აქვს. წარმომავლობითს და რელიგიურ სხვაობას ხელი ოდნავადაც არ შეუშლია ჩვენი ხალხების მეგობრობისათვის. წინაპართა წინდახედულობისა და სიბრძნის შესანიშნავი მაგალითია ბალყარელ და ქართველ მთიელთა შორის ძმადნაფიცობის მტკიცე და ურღვევი ტრადიციის შექმნა, რომელმაც ჩვენს დრომდეც მოაღწია. ეს ტრადიცია ხელს გვიწყობდა გაგვეზიარებინა ერთმანეთის ჭირიც და ლხინიც. სწორედ ამიტომ მადლიერნი უნდა ვიყოთ ჩვენი ბრძენი წინაპრებისა, უნდა გვახსოვდეს და პატივს მივაგებდეთ დიდი ბალყარელი პოეტის ყაისინ ყულიევისა და მის ქართველ ძმადნაფიცთა მეგობრობასაც, ჩვენი ორი ხალხის სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენელთა უანგარო ურთიერთობასაც.

დღეს ცენტრის დიქტატის ქვეშ მყოფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გააფთრებულ ანტიქართულ კამპანიას ეწევიან და ყოველგვარი ხერხებით ცდილობენ ერთმანეთს გადაამტერონ კავკასიაში მცხოვრები ხალხები. საგანგებო ყურადღებას უთმობენ მეორე მსოფლიო ომის დროს რეპრესირებულ ხალხებს, რომელთაც შთააგონებენ, თითქოს მათი უბედურების დროს სტალინისა და ბერიას წყალობით ქართველ ხალხს არავითარი შევიწროება არ განეცადოს, თითქოს ქართველებს დეპორტირებულ ხალხთა ხარჯზე პირობებიც კი გაეუმჯობესებინოთ.

ამგვარი „მტკიცების" აბსურდულობა ნათელია ყველასათვის, ვინც იცის, რომ ქართველმა ხალხმა არაერთგზის გამოსცადა საკუთარ თავზე, საბჭოთა წყობილების „ჰუმანურობა". უამრავი ქართველი შეეწირა რეპრესიებს 1921-24 წლებში, კოლექტივიზაციის დროს, 30-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს, 1949-1951 წლებში, 1956 წელს, 1989 წლის 9 აპრილს. პროვოკაციები „ეთნოკონფლიქტის" სახელწოდებით ამჟამადაც ეწყობა ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში, რასაც უკვე შეეწირა რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე. რაც შეეხება სტალინსა და ბერიას, ისინი მათ მსგავს „ქართველებთან" ერთად საქართველოსა და ქართველი ხალხის უპირველესი მტრები იყვნენ. ამიტომ ქართველი ხალხისთვის გასაგები და ძალზე მტკივნეულია ბალყარელი ხალხის ღრმა მწუხარება იმ ადამიანთა უაზრო განადგურების გამო, რომელთა მთელი „დანაშაული" ის იყო, რომ ისინი ბალყარელები იყვნენ. კაცობრიობის ისტორიას ძნელად თუ ახსოვს იმგვარი სიმხეცე, ბოროტება და გენოციდი, როგორიც 1944 წლის 8 მარტს დაატყდა თავს თქვენს გამრჯე და მშვიდობისმოყვარე ხალხს.

ნებისმიერ პატიოსან კაცს შეზარავს ის ცინიზმი, რომელიც, თუნდაც, რეპრესიის მოწყობის დღეთა დანიშვნისას შეინიშნებოდა: 1943 წლის 7 ნოემბერს, „დიდი" ოქტომბრის დღესასწაულის დღეს, სამშობლოდან მასობრივად გაასახლეს ყარაჩაელი ხალხი; 1944 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა არმიის დღეს, მამა-პაპათა მიწა უკვე ჩეჩნებსა და ინგუშებს დაატოვებინეს, ხოლო იმავე 1944 წლის 8 მარტს, ქალთა დღეს, ყველა ბალყარელ დედას, ყველა ბალყარელ ქალს მთელ ხალხთან ერთად სისხლის ცრემლები ადინეს და ისე მიატოვებინეს საყვარელი მამული. კაცთმოძულეობისა და შემზარავი ცინიზმის აღიარება იყო ბალყარელთა გასახლების შესახებ დაწერილი პაკეტები, რომლებშიც პარტიასა და ხელისუფლებას მოახსენებდნენ, რომ გასახლების წინ მიღებულ იქნა ზომები, რათა საგრძნობლად შემცირებულიყო ეშელონების რაოდენობა. რა ზომებზეც იყო აქ საუბარი, ეს ბალყარელმა ხალხმა ყველაზე უკეთ იცის (ხოცავდნენ უდანაშაულო ადამიანებს — ბავშვებს, ფეხმძიმე ქალებს, მოხუცებს, სნეულებს, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდებს...). გენოციდის ამ შემზარავი აქციების მომწყობნი და უშუალო შემსრულებლები კი დიდი ზარ-ზეიმით დააჯილდოვეს სხვადასხვა ხარისხის ჩინმედლებით.

ძვირფასო ბალყარელო დებო და ძმებო! მთელი ქართველი ხალხი ღრმა მწუხარებით იხრის ქედს 1944 წლის 8 მარტს უდანაშაულოდ დახოცილი ბალყარელების ხსოვნის წინაშე. დაე, მთელ მსოფლიოში ნურასოდეს ნუ განმეორებულიყოს ის ტრაგედია, რომელიც თქვენმა მშრომელებმა, მშვიდობისა და თავისუფლების მოყვარე ხალხმა განიცადა.

მარადიული იყოს დაღუპულთა ხსოვნა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია.**




ესეც ჩვენი ისტორიაა

კიდევ ერთი, ათეულობით წლის მანძილზე ტაბუდადებული თარიღი გამოჩნდა ქართულ კალენდარში — 1956 წლის 9 მარტი....

რა ვიცით ამ სისხლიანი თარიღის შესახებ? დღევანდელმა ახალგაზრდობამ ალბათ სულ ოდნავ მეტი იმაზე, კალენდრის ეს ფარატინა ფურცელი რომ გვამცნობს, ჩვენმა მამებმა კი... ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი. თუმცა სწორედ ეს ყველაფერი გახდა 1956 წლის 9 მარტს გადარჩენილი თაობის მრავალწლიანი იძულებითი დუმილის მიზეზი.

**სათანადო პუბლიკაციები**

იხ. მე-2 გვ.

## ქრონიკა, ინფორმაცია

**7 მარტს** თბილისში მთავრობის სახლთან გაიმართა სამაჩაბლოდან ლტოლვილთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. აქ გამოსული ლენა ქრისტესიაშვილი, ნაზი ბერუაშვილი, ბესიკ მაისურაძე, ლუიზა მამულაშვილი, რომან ესმანდოვი და სხვები გულისტკივილით ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ დღეს ათასობით ქართველი ლტოლვილია თავის მშობლიურ მიწაზე, განიცდის დამცირებას, ხედავს მშობლიური კერების წაბილწვას. ეს სისხლისღვრაც სამაჩაბლოში, ხაზგასმით აღინიშნა მიტინგზე, ხდება გარედან წაქეზებით, იმათი სცენარით, ვისაც განუზომელი იმპერიული ამბიციები აქვს.

ორატორთა რწმენით, სამაჩაბლოში დაუყოვნებლივ უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა უკანონო ფორმირების მიერ იარაღის ჩაბარება, აქ კანონიერი ხელისუფლების შექმნა, ცხინვალში ყველა ლტოლვილის უსაფრთხო დაბრუნების, ქართველებისათვის თავიანთი შრომისა და მშვიდი ცხოვრების კანონიერი უფლებების გარანტირების პირობების შექმნა.



სურათზე: ლტოლვილების მიტინგი.
გიორგი შარაშენიძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

**საქართველოს** რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით 1991 წელს საგაზაფხულო არდადეგები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში ჩატარდება 24-დან 31 მარტის ჩათვლით. სწავლა შეწყდება 23 მარტს, გაკვეთილების შემდეგ და განახლდება პირველ აპრილს.

**საქართველოს** რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წინადადება და დაადგინა 1990/91 სასწავლო წლიდან შეწყდეს ოქროსა და ვერცხლის მედლების, წარჩინების დიპლომების გაცემა და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი პრივილეგიების გავრცელება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომლებსაც ადრე მიღებული აქვთ ოქროსა და ვერცხლის მედლები, წარჩინების დიპლომები, მისაღებ გამოცდებს აბარებენ ასევე საერთო წესით, ყოველგვარი უპირატესობის გარეშე.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ სასწავლებლები, დაევალოთ შეიმუშაონ და თანმიმდევრულად განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილებების ორგანიზებულად შესასრულებლად.

**ლატვიის** რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმს არ ექნება იურიდიული შედეგები — ასე გადაწყვიტა დღეს ლატვიის უზენაესმა საბჭომ.

ამის გამო მიღებულ დადგენილებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ ხელისუფლების სახელმწიფო სტრუქტურები მონაწილეობას არ მიიღებენ მის მოწყობაში. ეს გადაწყვეტილება ახსნილია დამოუკიდებლობის სრულიად ლატვიის გამოკითხვის შედეგების შესახებ დეკლარაციით.

**6 მარტს** ლიტვის ტელევიზიის ჟურნალისტებმა შიმშილობა დაიწყეს. ამ აქციით ისინი პროტესტს აცხადებენ იმასთან დაკავშირებით, რომ 13 იანვრის ღამეს დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების დროს ჯარისკაცებმა ძალით დაიკავეს ლიტვის რადიოსა და ტელევიზიის შენობა და ტელეანძა.

მოშიმშილეები მოითხოვენ დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს ლიტვის რადიო და ტელევიზია მის კანონიერ მფლობელს.

**როგორც** ვიცით, სსრკ უზენაესმა საბჭომ წინადადება მისცა სსრკ საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტს, განეხილა იმ აქტების არაკონსტიტუციურობა, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა მიიღეს 17 მარტის სსრკ რეფერენდუმთან დაკავშირებით.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი, როგორც ყოველთვის, „სათანადო სიმაღლეზე" აღმოჩნდა და ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღო განცხადება. მასში მითითებულია, რომ ნებისმიერი აქტი, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეუშლის ხელს სსრკ მოქალაქეებს რეფერენდუმში თავისუფლად მონაწილეობაში, ეწინააღმდეგება სსრკ კონსტიტუციას.

**5 მარტს,** სამშობლოში გამგზავრებამდე, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯერმა საგარეო პოლიტიკური ასოციაციის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პატივსაცემად ვახშამი გამართა.

მოხდა აზრთა გაზიარება სპარსეთის ყურეში ომის დამთავრების შემდეგ წარმოქმნილი და საერთოდ, ახლო აღმოსავლეთის პრობლემების დარეგულირების ფართო ასპექტების გარშემო.

განიხილეს, აგრეთვე, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების მოლაპარაკებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ეხება როგორც საბჭოთა კავშირის ისე მთლიანად საერთაშორისო ცხოვრებას.

**მოულოდნელი** ფულადი გზავნილება მიიღეს თბილისელმა ნინო და ნუგზარ ჭელიძეებმა. ათას ხუთასი მანეთი მრავალშვილიან ოჯახს მეთერთმეტე ბავშვის შეძენის „აღსანიშნავად" გადაურიცხა საქარხნო რაიონის ქალთა საკრებულომ თავისივე სოციალური დახმარების ფონდიდან. ფონდის სახსრებითვე ახალშობილის ოჯახს საკრებულომ შეუძინა და საჩუქრად გადასცა იმპორტული ავეჯი.

**კიდევ** ერთი სცენური სიცოცხლე შეიძინა ახალგაზრდა ქართველი დრამატურგის გიორგი გამსახურდიას პიესამ „მუნჯის სიზმარი". სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის შემდეგ ეს პიესა დადგა თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივმა. დამდგმელია თეატრის მსახიობი და რეჟისორი იგორ ფილიევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისტორიის გაკვეთილები

# საქართველოს ბედნიერებისათვის მებრძოლი

დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ხშირად შეხვდებოდით საშუალო ტანის წვერმოშვებულ ჭარმაგ კაცს, რომელიც დინჯი ნაბიჯით მიემართებოდა გამომცემლობა „ხელოვნებისაკენ“, სადაც მას განყოფილების გამგის მაგიდაზე უამრავი მასალები ელოდებოდა. მათ შორის საკმაო რაოდენობით თავისი მასალებიც იყო. გივი ბარამიძეს ხელოვნებაში ყველაფერი იტაცებდა: კინო, თეატრი, მუსიკა, ფერწერა, იგი მხატვარიც იყო და პოეტიც, მაგრამ უპირველეს ყოვლისა — პატრიოტი თავისი ქვეყნისა.

1954 წელს მისი ინიციატივით შევქმენით საქართველოს განთავისუფლების ორგანიზაცია. ორგანიზაცია რა ორგანიზაციაა, თუ მას საგამომცემლო საშუალებები არ ექნება, და აი ვახერხებთ ქალაქის ერთ-ერთ სტამბაში მუშებად მოწყობას, იმისათვის, რომ სასტამბო საქმე ავითვისოთ და სტამბისათვის საჭირო მოწყობილობანი ვიშოვოთ. მასალებს თითქმის ყოველდღე ვეზიდებოდით და სულ მოკლე დროში ბოჭორიძის ქუჩის № 45-ში, სახლის სახურავქვეშ საკმაოდ ძლიერი სტამბა მოეწყო. პირველი პროკლამაცია ასეთი იყო: „ძირს კოლონიალიზმი, გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!“, ამჟამად ანალოგიურ მოწოდებებს თითქმის შევეჩვიეთ, მაგრამ მისი თქმა 1954-55 წლებში სასიკვდილო განაჩენის გამოტანას უდრიდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მსოფლიოში უკვე ირღვეოდა კოლონიური სისტემის უკანასკნელი კერები და ხალხი თანდათანობით თავისუფლდებოდა ამ მძიმე უღლისაგან.

ქალაქის სანახაობით დაწესებულებებში, ხან აქ, ხან იქ ხანძარივით მოედებოდა სიტყვები, რომ პროკლამაციები დაუყრიათო. დიახ, იმ მძიმე სახელმწიფო რეჟიმის შემდეგ, რომელსაც სტალინი წლების განმავლობაში ატარებდა, ხალხმა ამოისუნთქა, მაგრამ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები შიშის პოლიტიკას.

1955 წლისათვის ანალოგიური პროკლამაციები ვრცელდებოდა ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ზუგდიდში, გორში და სხვა ქალაქებში. ამის ინიციატორები ჩვენ ვიყავით.

1956 წლის დასაწყისი ის პერიოდია, როცა ქართველ ხალხს თავისი სიტყვა უნდა ეთქვა, რადგან საბჭოთა ხელმძღვანელს აზრად მოუვიდა, ქართველების ციმბირში გადასახლება და პოლიტბიუროში ამის შესახებ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის დავა მიდიოდა. საქართველოს კომპარტიის მაშინდელ ცეკას პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს, რომელიც ხრუშჩოვს ენათესავებოდა, უკითხავს მისთვის: თუ ქართველები გადაასახლე, მე რა ვქნაო. „შენ რაო, უნუგეშებია ხრუშჩოვს, იქაც ცეკას პირველი მდივანი იქნებიო“. უფრო მეტიც, ამიერკავკასიის იმდროინდელ ჯარების სარდალს ფედიუნინსკის, სუფრაზე ქართული ღვინით შეზარხოშებულს, როცა 1956 წლის 9 მარტის ამბები შეახსენეს, ამაყად უპასუხია: „მე ნაბრძანები მქონდა თბილისი დამებომბა, მაგრამ მე არ გავაკეთე და ადვილად გადაგარჩინეთ“. და ამ საბედისწერო ჟამს, 9 მარტს, 6 საათზე, სანაპიროზე სტალინის ძეგლის კვარცხლბეკზე ასულმა გივი ბარამიძემ თავისი მგზნებარე პატრიოტული სიტყვა ასე დაამთავრა: „გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს“.

შემდეგ გამოიცა სტამბურად დაბეჭდილი პატრიოტული ლექსი „პოეტს“, რომელიც ქართველ პოეტებს და ხალხს გამოღვიძებისაკენ მოუწოდებდა: მომყავს მისი ბოლო სტრიქონი:

**„ნუთუ წლებმა შეგაშინა,**
**რკინის ხალტედ**
**კისერზე რომ გახვევია**
**გაუღვიძე**
**ხალხს მამულის სიყვარული,**
**თუ ეს გრძნობა**
**გულში კიდევ დაგრჩენია“.**

აქვე დაბეჭდილი იყო ლექსი „დაჭრილი არწივი“, რომელიც ხალხს დამოუკიდებელი საქართველოსათვის ბრძოლისკენ მოუწოდებდა:

**„...და ხალხი ზვავად დაიძვრის**
**მთიელ მინდიას ძახილზე,**
**გივარგიც გზაში დახვდება,**
**კაცი შეზრდილი მახვილზე...“**

ყველამ ვიცით, თუ რითი დამთავრდა 1956 წელი, ისიც, რომ განკარგულება ამ სისხლიანი აქციის შესახებ ხრუშჩოვის მიერ იყო გაცემული და ამ ამბავმა, როგორც 1989 წლის 9 აპრილის ამბავმა, ბევრისთვის ჩვეულებრივად ჩაიარა, რადგან როგორც ერთში, ისე მეორეში მთავრობა იყო დამნაშავე, და მთავრობა ხომ თავის თავს არ დასჯიდა. მაგრამ ერთი კია, 1956 წლის გასროლამ თვალები აუხილა ქართველ საზოგადოებას, პარტიამ არა მარტო მომიტინგეებს ესროლა ტყვია, არამედ თავის თავსაც, რადგან ამ ფაქტმა ბზარი გაუჩინა პარტიის რეპუტაციას.

1956 წლის 9 მარტს კავშირგაბმულობის სახლთან მშვიდობიანი დემონსტრანტების დახვრეტის შემდეგ ლენინის მოედანზე გამართულ სახელდახელო მიტინგზე გვარდიის კაპიტანმა მიხეილ ყიფიანმა პატრიოტული სიტყვით გამოსვლის შემდეგ მომიტინგეთა თვალწინ დახია და ფეხით გასრისა კომუნისტური პარტიის წევრობის მანდატი. ასეთი ფაქტი ახლა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ მაშინ იგი დახვრეტით ან ციმბირში 10 წლის გასახლებით ისჯებოდა და მიხეილ ყიფიანიც დაისაჯა. ამ ტრაგედიის შემდეგ ცალკე დაიბეჭდა, ქუჩებში გაიკრა, წარმოებებში გავრცელდა და გაზეთშიც გამოქვეყნდა ლექსი, რომელიც ქართველ ხალხს ბრძოლისკენ მოუწოდებდა.

გაზეთის შემდეგ გამოიცა ბროშურა, რომელშიც ლექსების გარდა ორი ილუსტრაცია იყო მოთავსებული. 1956 წელს მოსკოვში ჩამოვიდა იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ლიდერი ბროს ტიტო. ხრუშჩოვმა იგი სანადიროდ ყირიმის ნაკრძალში წაიყვანა. ჩვენს ნახატზე გამოსახული იყო ხეზე მიბმული ირემი, რომელსაც კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული წარწერა: „რას მერჩით, რა დაგიშავეთ, რატომ მხვრიტავთ, მე ხომ არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი“. მეორეზე კი დახატული იყო ბურლაკები წარწერით: „ბევრი ხანია ქართველი ხალხიც ეწევა ამ მძიმე ჭაპანს, მაგრამ დასასრული არ ჩანს, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, როდემდე... როდემდე... როდემდე...“

1956 წლის 10 მარტს დაიბეჭდა, ქუჩებში გაიკრა და წარმოება-დაწესებულებებში გავრცელდა პროკლამაცია 9 მარტს მთავრობის მიერ ჩადენილი ბოროტებისადმი პროტესტის ნიშნად: „არცერთი სამუშაოზე“. ეს, ფაქტობრივად, ქართველი ხალხის პირველი ერთგვარი გაფიცვა იყო, რადგან მიუხედავად მთავრობის რეპროდუქტების საშუალებით ყოველსაათიანი მოწოდებისა შესდგომოდნენ მუშაობას, 18 მარტამდე მუშაობის ნორმალური რიტმი დარღვეული იყო.

ხოლო მაისობის დღესასწაულის წინა დღეებში გავრცელდა პროკლამაცია „არც ერთი დღესასწაულზე“, ამან ალბათ თავისი როლი შეასრულა, რადგან შემდგომ პერიოდში პარადებსა და დემონსტრაციებზე სპეციალურად შერჩეული კონტინგენტი გამოჰყავდათ. პროკლამაციების გავრცელების ერთ-ერთი ხერხი მოყვანილი აქვს პროფესორ ვასილ კიკნაძეს გივი ბარამიძის შესახებ დაწერილ სტატიაში „კიდევ ერთი მსხვერპლი“ (გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990 წლის 22 თებერვალი).

გივი ბარამიძე ხშირად იტყოდა ხოლმე: „თუ ნამდვილი პატრიოტი ხარ, იყავ სამშობლოსათვის თავდადებული, ყალბი პატრიოტიზმი ერის დამღუპველია. ამ ისტორიულად ძნელ პერიოდში ყველა ქართველს გვმართებს შემჭიდროვება ისე, როგორც არასდროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ერი მოკვდება. და ამას ჩვენ ჩვენი წინაპრების ძვლები არ გვაპატიებს“...

ამგვარი საქმიანობისათვის სამკაციანმა სასამართლომ დანაშაული 8-8 წლით განსაზღვრა, თუმცა პროკურორმა 10 მოითხოვა. სასჯელი შეიძლება უფრო მკაცრი ყოფილიყო, მაგრამ ჩხრეკვის დროს ერთ-ერთი ფრიად საყურადღებო მასალა გივიმ მალულად იქვე მდგომ ბიძაშვილს გადასცა. ეს ფაქტი სუკ-ის ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაინახა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, რის გამოც მადლობას მოვახსენებთ, თუკი ცოცხალია.

ადამიანი, რომელიც სიკვდილის შიშს დასძლევს, გმირია და გივი ბარამიძეს ეს ბარიერი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის დაძლეული ჰქონდა. მაშინ, როცა არალეგალურ გაზეთში „თავისუფლებისათვის“, დაბეჭდა სტრიქონები:

**„ბრძოლით განკურნავ მრავალ ჭრილობას,**
**ლახვარი ჩაეც შავბნელ პარტიას,**
**რადგანაც იმათ დროშაზე მხოლოდ**
**ბოროტება და ტანჯვა ხატია“.**

კომენტარები ზედმეტია, ასეთი სიტყვები, ისიც პრესაში დაბეჭდილი, 1956 წლამდე არავის უნახავს და ერთ-ერთმა პოეტმა, რომელიც გამოძიების პერიოდში სუკ-ს მოუწვევია ლექსების პოლიტიკური ღირებულების შესაფასებლად, ასე უთქვამს: ამის დამწერი უნდა დაიხვრიტოსო.

ჩემი აზრით, გივი ბარამიძე ღირსია იმისა, რომ ქალაქში, სადაც ის ცხოვრობდა, ერთ-ერთი ქუჩა მის სახელს ატარებდეს.

დარწმუნებული ვარ, გივი ბარამიძის პატრიოტული საქმიანობის ამბავს მომავალი დღეს თუ ხვალ დღის სინათლეზე გამოიტანს და სამშობლოს ბედნიერებისათვის მისი ბრძოლის უტყუარი ფაქტები ახლანდელი და მომავალი თაობის ყურადღების ღირსი გახდება.

**იროდი ფაჩულია**

---

**გივი ბარამიძე, მხატვარი და თეატრმცოდნე, 1956 წლის მარტის მოვლენების აქტიური მონაწილეა. ამ მოვლენების შემდეგ ის და იროდი ფაჩულია, რომლებიც სხვაგვარად მოაზროვნეთა პოზიციებზე დადგნენ, იწყებენ ფურცლების, ბროშურების, პროკლამაციებისა და მოწოდებების ბეჭდვას. ამას ისინი აკეთებენ ფაჩულიას ბინაზე მათ მიერვე სტამბებიდან ფარულად გამოტანილი მასალებით მოწყობილ პატარა სტამბაში. ნაბეჭდ პროდუქციას ავრცელებდნენ ხალხის მასობრივი თავშეყრის ადგილებში, მათ შორის უნივერსიტეტში, კინოთეატრებში, მწერალთა კავშირში (ზოგიერთი მათგანი ფოსტით პირადად გაუგზავნეს გოგლა ლეონიძეს და გალაკტიონ ტაბიძეს), აგრეთვე ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში და სხვა.**

**1958 წლის 14 იანვარს, როდესაც უკვე ცნობილი გახდა მათი საქმიანობა, მათ აპატიმრებენ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის განაჩენით რამდენიმე წლით ასახლებენ შორეულ მორდვეთში.**

**საარქივო დოკუმენტებზე მუშაობის დროს ჩემს ხელთ აღმოჩნდა გივი ბარამიძის ოთხი ლექსი. მისი ხელნაწერების ნახვით კმაყოფილი დავრჩი, რადგან გივის პირადად ვიცნობდი იმ პერიოდში, როდესაც ის გამომცემლობა „ხელოვნებაში“ მუშაობდა, მე კი ამ გამომცემლობასთან და თვით მასთან რამდენიმე წლის ურთიერთობა მაკავშირებდა. გივი ბარამიძის სამ ლექსს ახლა მკითხველს ვთავაზობთ. მათ მხატვრულ დონეზე არაფერს ვიტყვით. ეს თვითონ მკითხველმა განსაჯოს.**

**შოთა ნოზაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.**



●

ისევ სდგას პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი,
გაქრა კვაზიმოდო — მახინჯი, საზარი.

გაქრა ესმერალდას ბოშური ბუნება —
მისი სიყვარული, მისი ერთგულება.

ლამაზი მახინჯ კაცს შეაკვდა შემკრთალი,
მახინჯი — ლამაზ ქალს, როგორც ვარდს ეკალი.

მაგრამ არ გამქრალა ის ბრძოლა, ის შიში,
კვლავ დარჩა სახება იმ ორის მაგვარი.

ღვთისმშობლის მაგივრად აქ ჩემთვის თბილისში
აიგო წამების მშობელი ტაძარი.

ნუთუ კვაზიმოდოს, საშინელს, მოღრეცილს
ვერ შევწვდი, წყლის ნაცვლად ტანჯვა რომ მომეცი?
თურმე კვაზიმოდოც კი კარგად ვერ მგავდა,
ვყოფილვარ იმაზე ცუდი და ბედკრული.

თორემ, მშვენიერო ჩემო ესმერალდა,
იმ კვაზიმოდოზე ვარ მეტად ერთგული.

შენში თანაგრძნობა კი მაინც არ ჩნდება,
არ გიპყრობს ტრფიალის ზღვა დაუშრობელი.

ვგრძნობ ჩვენგან თბილისში ტაძარი დარჩება,
ღვთის მშობლის კი არა, სიკვდილის მშობელი.

**1952/II.**

**მადლობა სთქვი, რომ...**

თუმცა ტრფიალით გავიცანით ჩვენ ერთმანეთი —
იმდაგვარ ტრფობით ვერ მივდივართ ცხოვრების გზაზე.
რა იქნებოდა ყოფილიყავ არა მასეთი,
როგორც მეჩვენე გქონებოდა ის სილამაზე.

მსურს მძულდე, მაგრამ ძველ სიყვარულს ვერ ვემალები,
ყველგან დამყვება მაშინდელი შენი სახება,
ყველგან დამყვება მაშინდელი შენი თვალები,
მადლობა სთქვი, რომ ის ჩემს გულში შეგენახება.

მადლობა სთქვი, რომ არ ვივიწყებ, რაც განგვიცდია,
რომ ჩვენს ტკბილ წარსულს დასტრიალებს ჩემი ფიქრები.
მე კვლავ ვატარებ იმ სიყვარულს, რაც რომ დიდია
და რისი ღირსიც შენ არასდროს აღარ იქნები.

**1954/XI სოხუმი.**

**ამერიკელი პოეტი ზღვასთან**

დე, იხმაურე, არ იფიქრო ძალა გაქვს მეტი,
დე, დაიღმუვლე, — რისხვით მე ვერ დამეტოლები,
ვერ გავარკვიე მე დამცინის ტიალი ბედი,
თუ მას დავცინი საშინელი ჩემი ცხოვრებით.

მოვედი შენთან, მღელვარება რაკი ვერ ვძლიე,
შენც ისე ღელავ, რომ კაცი ვერ მოგეკარება.
ზღვაო! რა დალევს ქვეყნად თურმე ძლიერზე ძლიერს,
სასაცილოა ახლა შენში ეს მძვინვარებაც.

სასაცილოა ქვეყნად ყველა დროის ჰამლეტიც,
„ყოფნა-არყოფნაც“ უმწეოა, სული ვერ იტევს,
მე თავისუფალ ქვეყანაში მონად დავბერდი —
ლექსიც რომ ვწერო — ქარიშხალი რიტმებს შემიმტვრევს.

რის პოეზია. დახშობილა ყველა კარიბჭე
და მრისხანების ცხელ ტაფაზე ლექსს ვატკაცუნებ.
დე, ნაპერწკლები თვალში მოხვდეს მლიქვნელ „ძმა ბიჭებს“
დე, ხმა ჩაუწყდეთ ყველა დროის პოეტ-კაცუნებს.

მე კი არასდროს თითს არ დავკრავ ეპოქის ჩანგზე,
ვერც გამოვნახავ მუზას ყველა დროის შესაფერს.
შეფე ლირივით ვიხარხარებ ქუხილის ხმაზე
და მრისხანებას პოეზიაც სახელს შეარქმევს.

სასაცილოა პესიმიზმი სევდის პამფლეტით,
სასაცილოა წუხილიც და აღფრთოვანებაც.
ჩემმა ღრმა სევდამ მოჰკლა სევდა ყველა ჰამლეტის,
ჯერ არ შობილა მრისხანება, ასე თავნება.

**1956 წ. 20 აპრილი. ფოთი.**

## ისტორიის გაკვეთილები

**„რუსეთი არსებობს იქნებ მხოლოდ იმისთვის, რომ მსოფლიოს საშინელებათა გაკვეთილი ჩაუტაროს".**

**ჩაადაევი**

35 წელი გასულა იმ საშინელი დღიდან, 35 ზამთარი და ზაფხული, შემოდგომა და გაზაფხული. 35 წლის წინათ, 1956 წელს მე ვიყავი მოხერხებული და მკვირცხლი, ყოველ შემთხვევაში გაცილებით სწრაფი, ვიდრე ის „სალდათები", რომლებიც ჯავშნიანი მანქანებით მომდევდნენ და ავტომატებსა და ტყვიამფრქვევებს მიშენდნენ, მაგრამ მხოლოდ მოხერხება და სისწრაფე არ იყო საკმარისი გადარჩენისათვის, ბევრს ვერც ამან უშველა.

ეს ის ისტორიული დღეები იყო, როცა ქართველმა ახალგაზრდობამ, ერთადერთმა მთელ კავშირში, ასე ერთსულოვნად აღიმაღლა ხმა იმ პრინციპებისა და იდეების დასაცავად, რითაც გვზრდიდნენ და გვაიმედებდნენ წლების მანძილზე. მაშინ ქართველი ახალგაზრდების სისხლი საკუთარი მრწამსისა და პრინციპების დასაცავად დაიღვარა. და ვაი, რომ ეს უმანკო, ვაჟკაცური სისხლიც მავანმა და მავანმა სტალინის ქართველობით ახსნა და ვიწრო ნაციონალისტურ გამოვლენად მონათლა, რაც არამც და არამც არ შეეფერება სიმართლეს. და ვინ უნდა იცოდეს ეს, თუ არა მარტის იმ მრისხანე და გმირული დღეების უშუალო მოწმემ და მონაწილემ.

იმ დაუვიწყარ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე, რომლებიც ახლანდელთან შედარებით უფრო სტიქიური იყო, მაგრამ არანაკლებ მრავალრიცხოვანი და არანაკლებ გაბედულიც (მახსოვს საწოლიანად გამოვიყვანეთ მიტინგზე იმჟამად თბილისში მყოფი განთქმული რევოლუციონერი, მაო ძე დუნისა და ჯოუ ენ ლაის შემდეგ მესამე კაცი ჩინეთში, ამ ქვეყნის მთავარსარდალი ჯუ დე, რომელიც პოლიტიკურ სკანდალს მოერიდა და აზრი რომ არ გამოეთქვა, ავადმყოფობა მოიმიზეზა), ვაკრიტიკებდით, ვლანძღავდით, ვაგინებდით, მიწასთან ვასწორებდით სსრკ XX ყრილობის დელეგატებს, განსაკუთრებით ქართველებს, რომლებმაც, ჩვენი აზრით, არნახული ლაჩრობა გამოიჩინეს და კრინტი არ დაძრეს ყრილობაზე საკუთარი აზრისა და მრწამსის დასაცავად. ისინი ერთხმად უკრავდნენ ტაშს ნიკიტა ხრუშჩოვს და ბევრ მათგანს ტაშის დაკვრის დროსაც მკერდზე ისევ სტალინის გამოსახულებიანი მედლები და ორდენები ეკიდა. ახალგაზრდობის სახელით ჩვენ მათ პრინციპულობისათვის ვლანძღავდით, ისინი კი თურმე უფრო დიდი და საშიში დამნაშავენი ყოფილან. 1921, 1924, 1937 და მთელ შემდგომ წლებში სიტყვითა და კალმით ბოლშევიკურ ეშაფოტზე აგზავნიდნენ თავისსავე თანამემამულეებს, ჩვენს ნამდვილ მამებს, ბევრს თუ გზააბნეულს, ბევრს ჭეშმარიტ პატრიოტსა და საერთოდ კი უკეთეს ნაწილს ქართველობისას. ვაი, რომ ის არამზადები კიდევ ბევრჯერ და კიდევ ბევრგან წარმოადგენდნენ საქართველოს ხალხს, დელეგატების, დეპუტატებისა, თუ რწმუნებულთა სახით.

1956 წლის 9 მარტი ისტორიის კუთვნილება გახდა, კიდევ ერთხელ გამოადინეს სისხლი ისედაც სისხლდაცლილ საქართველოს, კიდევ ერთხელ ჩაიცვეს ქართველმა დედებმა შავები, კიდევ ერთი დღე გააშავეს საქართველოს კალენდარში. თერთმეტი წელი იყო გასული კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ომის დამთავრებიდან, სადაც საქართველომ თავისი მოსახლეობის მეოთხედი გაგზავნა, ყველაზე ჯანმრთელი, ყველაზე საღი და ყველაზე ძვირფასი ნაწილი საქართველოსი. დაჭრილები ჯერ კიდევ იშუშებდნენ ჭრილობებს, კიდურებდაგლეჯილები ჯერ კიდევ პროტეზებს ირგებდნენ: შინმოუსვლელებს ჯერ კიდევ ელოდნენ შინაურები.

საქართველო ჩუმად, მდუმარედ აბარებდა მიწას თავის მგზნებარე შვილებს, 9 მარტის მსხვერპლთ, ბევრი ოჯახი ალბათ — გვარის ერთადერთ გამგრძელებელსა და უკანასკნელ იმედს. ხალხს დატირების უფლებაც არ მისცეს. უდანაშაულო მსვერპლნი ქურდულად დავასაფლავეთ.

მოგვიანებით მიჩვენეს ტყვიები, რომლებსაც მაშინ გვესროდნენ. ტყვიების გარსაცემი სპილენძი სხვადასხვა ფერით იყო შეღებილი იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქიმიურ ნაერთში იყო ნაწრთობი და რა ხარისხის ტანჯვის გამოწვევა შეეძლო მოკვდინებამდე, ამიტომაც იშვიათია კაცი, რომელიც იმ ტყვიით დაჭრას შემდეგ გადარჩა. ყველაფერი გათვალისწინებული იყო, შურისმაძიებლები არავის სჭირდებოდა, დაჭრილი უნდა მომკვდარიყო, მასთან ერთად უნდა დამარხულიყო წინააღმდეგობის გამოხატვის თვით სურვილიც. მიზანი ყოველგვარი საშუალებით გამართლებული და ეგებ ნაწილობრივ მიღწეულიც იქნა, მაგრამ ეს ჭირიც ზოგიერთივით მარგებელი შეიქმნა, ბევრს აეხილა თვალი.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 1956 წლის 25 თებერვალს დამთავრდა კომპარტიის XX ყრილობა. ყრილობის დახურულ

**მ ა მ ე ბ ი**

სხდომაზე კომპარტიის პირველი მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენებამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია მთელს მსოფლიოში, ხუმრობა ხომ არ იყო, კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო და აღიარებული ლიდერი, „მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისა და მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი, პროლეტარიატის ჩაუქრობელი მზე, ყველა დროის უდიდესი გენია" იოსებ სტალინი ხალხის მტრად და დამნაშავედ გამოაცხადეს.

ერთ მუშტად შეკრული მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა უმალ ორ ბანაკად გაიყო, ერთში აღმოჩნდნენ ნ. ხრუშჩოვის მომხრეები: გდრ, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, მონღოლეთი და სხვა. მეორეში — ჩინეთი, ალბანეთი, ჩრდილოეთ კორეა და რამდენიმე ბურჟუაზიული ქვეყნის კომპარტია მაო ძე დუნის მეთაურობით. გამოუკვეთელი პოზიცია დაიკავა იუგოსლავიამ და რამდენიმე კაპიტალისტური ქვეყნის კომპარტიამ. პირველი ბანაკის წარმომადგენლები მოწინააღმდეგეებს შემდეგში დოგმატიკოსებს ე. ი. მარქსიზმის დოგმატიკოსებს უწოდებდნენ, თავის თავს კი შემოქმედებით მარქსისტ-ლენინელებს. მოპირდაპირეები კი მათ რევიზიონისტებს უძახდნენ, საკუთარ თავს კი მტკიცე ლენინელ-სტალინელებს. დაბნეულმა სსრ კავშირის ხალხმა თავდაპირველად დუმილი არჩია. ერთადერთი — საქართველოს რესპუბლიკა ვერ შეურიგდა კომპარტიის კურსის ასეთ მოულოდნელ შემობრუნებას 180 გრადუსით.

გორის IV საშუალო სკოლის X კლასის მოწაფეებმა 1 მარტს კლასში შეკრებილი ფულით ნაყიდი პირველი ყვავილების გვირგვინი მივიტანეთ სტალინის მონუმენტთან გორში. მალე, სტალინის გარდაცვალების დღის აღმნიშნავი კომიტეტი შევქმენით, რის შემდეგაც საქართველოს ყველა ქალაქში სტალინის ძეგლები ყვავილებში გაეხვია. ახალგაზრდობამ მალე მთელი ხალხი აიყოლია. ქუჩები და მოედნები ხალხით, ტრანსპარანტებითა და ყვავილებით აივსო. ბევრი რამ იყო გულუბრყვილო მაშინდელ პლაკატებსა და ლოზუნგებში, მაგრამ ერთი კი უდაო ჭეშმარიტებას წარმოადგენდა: **„სტალინი უდრის ლენინს!"**

ახალგაზრდობის აზობოქრებას საზღვარი თითქმის არ უჩანდა. მოვითხოვდით კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების გასამართლებას, მთავრობის რეორგანიზაციას. დაძაბულობამ და დაგროვილი ენერგიის აზვირთებამ კულმინაციას 9 მარტს მიაღწია. ეს დღე სტალინის დაკრძალვის დღე იყო. მაგრამ ვილაცამ მოიგონა, რომ ეს დღე სტალინის მარჯვენა ხელად ცნობილი ვიაჩესლავ მოლოტოვის დაბადების დღეც ყოფილა და სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან შეგროვილ ზღვა ხალხს მოუწოდა, წასულიყვნენ თბილისის კავშირგაბმულობის სახლში მოლოტოვისთვის, როგორც სტალინის თანამებრძოლისა და მოწაფისათვის, იუბილეს მისალოცი დეპეშის გასაგზავნად. ხალხი მიაწყდა რუსთაველის პროსპექტს, იმ მანიფესტაციის არც ერთ წევრს აზრადაც არ მოსვლია რაიმე ძალადობისათვის მიემართა, მათ სურდათ მიეღოთ დეპეშის გაგზავნის უფლება, მაგრამ მიუახლოვდნენ თუ არა მოწინავენი კავშირგაბმულობის სახლს, გაიღო კარები და ყველა სარკმელი, საიდანაც „მამაცმა" „სალდათებმა" ავტომატისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი გახსნეს. მალე ცეცხლი გახსნეს სანაპიროზეც, სტალინის ძეგლთან მდგარი ზღვა ხალხის მიმართ, დახვრიტეს უიარაღო, უდანაშაულო, მშვიდობიანი მომიტინგე ადამიანები, ახალგაზრდობა, რომელიც იმ იდეებს იცავდა, რისი დაცვისათვისაც მუდამ და ყველგან მოუწოდებდნენ.

განგებ თუ შემთხვევით, 9 მარტს დილიდან ქალაქის კინოთეატრების აფიშებზე უცნობი კინოსურათის დასახელება გაჩნდა — „ამ საღამოს ყველაფერი დამთავრებული იქნება". სამწუხაროდ, კინოსურათის საყურებლად არავის ეცალა. საღამოს, მართლაც ყველაფერი დამთავრდა, თუმცა სროლა 10 მარტსაც ისმოდა ქალაქის ქუჩებში.

მსოფლიო პროგრესული აზრი ერთხმად გმობდა კრემლის ბანდიტების მოქმედებას. რომის პაპმა დასწყევლა ნიკიტა ხრუშჩოვი და ბულგანინი. ეს წყევლა ორივეს აუხდა.

1924 წლის ხოცვა-ჟლეტიდან 9 მარტის ტრაგედიამდე 32 წელი იყო გასული. გაივლის კიდევ 33 წელი და იმავე ადგილზე, იმავე ძალის მიერ ახალი საშინელებით განმეორდება 9 აპრილის ბევრად შემზარავი ტრაგედია. მამებს 1956 წლის 9 მარტს გვხოცავდნენ — შვილებს 1989 წლის 9 აპრილს.

რისთვის გასწირა თავი 9 მარტს ქართველი ახალგაზრდობის ნაწილმა? 3 წლის წინათ გარდაცვლილი სტალინისათვის? — არა! „მგზნებარე ლენინელს" რომ სტალინი კი არა, სტალინიზმი გაეკრიტიკებინა, არაფერი მსგავსი არ მოხდებოდა, მაგრამ გაკრიტიკება სტალინის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობისა გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ მისი ქართული წარმოშობით და ეს ძალიან კარგად აღიქვა ქართველობამ, ახალგაზრდობა აღსდგა არა სტალინის, არამედ საკუთარი მრწამსისა და სამშობლოს დასაცავად (ამიტომაც დამკვიდრდა ჩვენში ჭირსა თუ ლხინში 9 მარტს დაღუპულ პატრიოტთა სადღეგრძელო), ქართველობა აღსდგა თავისი მეობის დასაცავად.

იმპერიამ ეს ვერ აიტანა.

საბედნიეროდ, მამების სათქმელი შვილებმა დაამთავრეს.

**იგორ პატარიძე**

# 31 მარტი ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების არჩევნების დღეა

**6 მარტს საქართველოს რადიომ გადასცა საარჩევნო ბლოკში „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება" შემავალი პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის დავით ზოდელავას ინტერვიუ. გთავაზობთ ამ ინტერვიუს საგაზეთო ვარიანტს.**

**— ბატონო დავით, წინასაარჩევნო კამპანია ძალაში შედის. თქვენმა წინასაარჩევნო გამოსვლამ, რომელიც 27 თებერვალს შედგა ტელევიზიით, საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინტერესი გამოიწვია. ამ გამოსვლას რაიმე ახალ მოსაზრებებს ხომ არ დაუმატებდით?**

— ჩვენ იმდენად საინტერესო პერიოდში ვცხოვრობთ, რომ მოვლენები სწრაფად ვითარდება. ჩემი გამოსვლით ვიმედოვნებ საზოგადოებას საშუალება მივეცი, გაეცნოს მიმდინარე პროცესების ჩვენეულ შეფასებას. ხოლო მოვლენების განვითარებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა ჩვენი ზოგიერთი მოსაზრების სისწორეში. მოგეხსენებათ, შედგა უზენაესი საბჭოს სესია, დამტკიცდა საქართველოში რეფერენდუმის ჩატარების კანონი, რომელსაც ჩვენ მხარს ვუჭერთ და ყველას მოვუწოდებთ, ხმა მისცეს საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს ეკონომიკის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში.

უზენაესი საბჭოს სესიამ ეკონომიკური რეფორმების კომისიის წარდგენით მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ რომელიც თავისი შინაარსით ასახავს საქართველოში პროგრესულ-ცივილიზებული ეკონომიკური სისტემის დამკვიდრებას და ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა. კანონის ამოქმედებისათვის საჭიროა უზენაესმა საბჭომ ახლო მომავალში მიიღოს მთელი რიგი ეკონომიკური კანონები, რომლებიც რეალურად შეძლებენ ცხოვრებაში განახორციელონ ამ კანონში ასახული დებულებანი.

სესიაზე დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს კაბინეტი ენერგიული, საქმიანი სპეციალისტებით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო მათ. ზოგიერთს პირადადაც ვიცნობ და მათ მიმართ დიდი სიმპათიები მაქვს. მჯერა, რომ ისინი დიდ სასიკეთო საქმეებს განახორციელებენ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სახალხო მეურნეობის მართვის ძირითად ბერკეტებზე პორტფელები კომპარტიის ხელშია; რომ განვმარტო — ეკონომიკაში მათი ორიენტაცია სოციალისტურია, რაც იმას ადასტურებს, რომ სერიოზულ ეკონომიკურ რეფორმებს მათგან არ უნდა ველოდოთ.

აღსანიშნავია, რომ 1 მარტს ერთი განცხადება გააკეთა პროგრამა „ვრემიამ", რომელიც, სამწუხაროდ, გამოხმაურების გარეშე დარჩა. ითქვა, რომ იმ დღეს სსრკ უზენაესი საბჭოს სესიაზე მიიღეს სსრკ კანონი სავალუტო რეგულირების შესახებ, რომელიც საქართველოს ხელისუფლებასთან იქნა შეთანხმებული, რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ახლო მომავალში საკუთარი საფინანსო, საბანკო პოლიტიკის გატარებას არ ვაპირებთ, არადა, ლოგიკიდან გამომდინარე, კრემლი, საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ, ახლო მომავალში გაატარებს სავალუტო-საფინანსო რეფორმას, რომლითაც ყველანაირად შეეცდება, დააკაბალოს და დააზარალოს ურჩი რესპუბლიკები და საჭიროა სასწრაფო კონტრზომების მიღება. ცენტრის ეკონომიკურ პოლიტიკას, დღევანდელ ბლოკადას, რომელსაც უნდა, რომ კრახამდე მიიყვანოს ჩვენი ეკონომიკა და შეარყიოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ჩვენ აქტიური წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ.

რამდენიმე დღის წინ დაგვიკავშირდნენ 31-ე ქარხნიდან, სადაც მოქმედებს რამდენიმე ათეული სამრეწველო კოოპერატივი და დირექცია კოოპერატივებს დახურვით ემუქრება. ეს საკითხი ასე იოლად გადასაწყვეტი არ არის, მით უმეტეს დღეს, როდესაც უმუშევრობა კარზეა მომდგარი და თან კანონი ირღვევა. ისევ მოქმედებს პრინციპი, სჯობს ყველა თანაბრად, თუნდაც მათხოვრად, ოღონდ სხვა არ „გამდიდრდეს". ეს პროცესები ისევ გაგრძელდება, სანამ იურიდიული უფლებები, შრომის ანაზღაურება არ გათანაბრდება. კოოპერატივებსა და მცირე სახელმწიფო საწარმოთა შორის, ახლახან თათბირი გვქონდა არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე. განვიხილეთ სხვა საკითხებიც, მათ შორის, მუხიანის ბაზრობის არა დაკეტვის, არამედ გადატანის თაობაზე და შესაბამისი მხარდამჭერი განცხადება გაკეთდა პრესაში. საბედნიეროდ, მთავრობის მხარდაჭერა იყო ამ საკითხში და ბაზრობა სწრაფად იქნა გადატანილი რუსთავის გზაზე, მაგრამ პირობები იქ ბევრად უარესია. განვიხილეთ თბილისის აღმასკომის მიერ დამტკიცებული დადგენილებანი ფართობებზე საარენდო გადასახადის შესახებ, და, საერთოდ, საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე აღინიშნა, რომ ჩვენი ორგანო, გაზეთი „საქმიანი სამყარო" ჯერ კიდევ არ არის გატარებული რეგისტრაციაში. და სხვა.

**— თქვენს გამოსვლაში მოკლედ შეეხეთ ავტონომიებს გარშემო შექმნილ დაძაბულ მდგომარეობას და რაიმეს ხომ არ დაამატებდით?**

— იცით, დღევანდელ სიტუაციაში, ამ თემაზე საუბარს ვერიდები. ჩხუბის დროს საქმის გარჩევის დრო არ არის. ერთი კი ვიცი, რომ ახლო მომავალში ამ საკითხების ერთ-ერთი მთავარი მარეგულირებელი ფაქტორი ეკონომიკა იქნება. იმუშავებს მომგებიანობის პრინციპი. ძლიერი ეკონომიკა და სტაბილური სავალუტო სისტემა საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების საწინდარია. მაგალითისათვის: რსფსრ-მ სსრკ-თან შედარებით დაბეგვრა შეამცირა და ამით საკავშირო საწარმოები უმტკივნეულოდ დაიქვემდებარა. მაგ. ჩუკოტკამ ამერიკასთან შეერთება რომ გადაწყვიტოს, როგორ გგონიათ, რას იზამს არამკვიდრი მოსახლეობა? ალბათ, ყველა ჩუქჩა გახდება, რადგან ძლიერია ამერიკა და ძლიერი ვალუტა აქვს. რა თქმა უნდა, ყველაფერი შედარებითია და ჩვენც რუსეთთან შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობები უნდა შევქმნათ.

**— როგორია თქვენი პროგნოზი არჩევნებში თქვენი ბლოკის — „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინების" შესახებ?**

— ოქტომბრის არჩევნებმა დაგვანახა, რომ შანსებზე ბოლო მომენტამდე საუბარი ნაადრევია. კარგი მდგომარეობა გვაქვს თბილისში, რამდენიმე რეგიონში, აჭარის უზენაესი საბჭოსა და აჭარის ადგილობრივი საკრებულოების არჩევნებში.

**— საინტერესოა, რა მდგომარეობაა აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში, რადგანაც ამის შესახებ მცირე ინფორმაცია გვაქვს.**

— არჩევნებში მონაწილეობს ძირითადად საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", კომპარტია, საარჩევნო ბლოკი „აჭარა", რომელშიც გაერთიანებულია სახალხო ფრონტი და რესპუბლიკური პარტია, რუსთაველის საზოგადოება და მე-4 ნომრით ჩვენი ბლოკი: „ეკონომიკური აღორძინება", რომელსაც აჭარაში ხელმძღვანელობს თენგიზ ასანიძე. ყველა საარჩევნო ბლოკს თითქმის თანაბარი შანსი აქვს. ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებული უპირატესობით გამოკვეთილი ლიდერი იქ არ შეიმჩნევა.

წინასაარჩევნო კამპანია აჭარაში ნორმალურ საქმიან ატმოსფეროში მიმდინარეობს, კარგი განწყობილებით. მიმაჩნია, რომ დღეს რაიმე დაძაბულობის შექმნა აჭარაში, ამ საარჩევნო პერიოდში, არამართებული იქნებოდა.

(დასასრული მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლემიკა

# არაფერი გამოგივათ, ბატონებო...

**დიდი** გულისტკივილით წავიკითხეთ გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 12 თებერვლის ნომერში ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი სტატია: „საქმემან ჩვენმან“...რომლის ნამდვილი მიზანია საზოგადოებრივი აზრის სრული დეზინფორმაცია — მხოლოდ ასე შეიძლება შეფასდეს დაუსაბუთებელი ბრალდებებით და ჭორის დონეზე, ვილაცის მიერ ნაყალბების ჭეშმარიტებად გასაღების სურვილით გამსჭვალული ეს წერილი.

ჰქონდათ კი ქართული სიტყვის და თავისი საქმის აღიარებულ ოსტატებს მორალური უფლება, ხელმოწერით განემტკიცებინათ სიცრუე. რატომ დაივიწყეს ბრძნული ნათქვამი „კაცი იმაშია ბრძენი, რაც მან იცისო“. მათ კი რა იციან მეაბრეშუმეობის შესახებ?

განსაკუთრებით აღგვაშფოთა წერილის იმ ნაწილმა, სადაც ლაპარაკია „აპარატის დანაშაულებრივ დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობაზე, რის შედეგადაც საქართველოში გავრცელდა ჭიის ყველაზე საშიში დაავადება — „პებრინი“. (თუ პებრინა?! გვგონია, რომ დაავადების სწორად დასახელებასაც მნიშვნელობა აქვს) და დოც. ბ. საკანდელიძის გამონათქვამს იშველიებენ, რომელიც სრული დილეტანტია ამ საკითხში, თუმცა მეთუთეობაშიც (რაშიც ის სპეციალისტდება, ერთ-ერთი ხელისმომწერის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ზვიადაძის ხელმძღვანელობით), მისი კომპეტენტურობის შესახებ საკმაოდ ითქვა რესპუბლიკურ პრესაში.

რატომ დუმან ამ დარგში კომპეტენტური და საკმაოდ მაღალკვალიფიციური მეცნიერები? იმიტომ ხომ არა, რომ მათ კარგად იციან ჩვენს რესპუბლიკაში დამზადებული აბრეშუმის გრენის ავ-კარგი? ისიც იციან, რომ აქ დამზადებული გრენა საუკეთესოა კავშირის მასშტაბით, რისი დასტურიცაა მასზედ მოთხოვნილება როგორც სხვა რესპუბლიკებიდან, ისე საზღვარგარეთიდან. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გაგზავნილ პროდუქციაზე რეკლამაცია არასოდეს მიგვიღია, სამადლობელი წერილები კი ბევრჯერ. საინტერესოა, რომელ **„ჭიის მასობრივი დაღუპვის ინფორმაციებზეა“** ლაპარაკი? ყველა ასეთი შემთხვევა ხომ სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს, რათა დადგინდეს წარმოშობის მიზეზი.

„შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“, უთქვამთ. გაუგებარია, რა ოპერატიული(?!) დახმარება უნდა გაგვიწიოს საფრანგეთმა პებრინასთან და თუთის ფოთლის „ხუჭუჭას“ წინააღმდეგ ბრძოლაში, როდესაც იქ მეაბრეშუმეობას კარგა ხანია ფაქტიურად აღარ მისდევენ. განა ცნობილი მეცნიერის ლუი პასტერის მიერ შემოთავაზებული ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ე. წ. „ცელულიალური“ მეთოდი მთლიანად არ გამორიცხავს დაავადებული პეპლის ნადების „გაპარვას“ შემდგომი დამუშავებისათვის? რესპუბლიკის საგრენაჟო ქარხნები ხომ ტრადიციულად ამ მეთოდით მუშაობენ, მაშინ როდესაც სხვა რესპუბლიკებში კარგა ხანია უარი თქვეს ამ უაღრესად შრომატევად პროცესებზე და შედარებით არასაიმედო ტექნოლოგიურ პროცესებს იყენებენ.

რესპუბლიკის მაღალკვალიფიციური გრენიორების თავდადებული მუშაობის (ხშირად 12-15 საათი სამუშაო დღის ხანგრძლივობით) ასეთი შეფასება დიდი მკრეხელობაა და ჩვენს მიერ დამზადებული პროდუქციის როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე ავტორიტეტის შელახვას ისახავს მიზნად, ამის უარყოფითი შედეგები კი სულ მალე გამოჩნდება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ, ამ წერილის ხელისმომწერთ.

ტყუილ გარჯად რომ არ ჩაეთვალოთ, აქედანვე ვაფრთხილებთ საქციო საზოგადოება „ქართული აბრეშუმის“ დამფუძნებელ წევრებს: „არაფერი გამოგივათ, ბატონებო, სჯობს დროს უქმად ნუ დაკარგავთ“. რესპუბლიკის მეაბრეშუმეობის, თქვენივე განცხადებით „ბიუროკრატული“ აპარატი მისი სტრუქტურული რაიონული განყოფილებებით, კარგა ხანია საწარმოო-საკორდინაციო ასოციაციად ჩამოყალიბდა (ასოციაციის საინიციატივო ჯგუფის სხდომა 1990 წლის ივნისის თვეში ჩატარდა; ხოლო დამფუძნებელი კონფერენცია რესპუბლიკის მეაბრეშუმეობის 44 რაიონიდან მოწვეული სპეციალისტების და მოწინავე მეაბრეშუმეების, აგრეთვე მეცნიერ მუშაკების და დარგის ხელმძღვანელების მონაწილეობით 5 ნოემბერს).

არც იჯარაა ჩვენთვის ახალი. ჰკითხეთ მცოდნეთ და გეტყვიან: „მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის ერთადერთი დარგია“, სადაც ათადან-ბაბადან მეაბრეშუმესთან ურთიერთობა ფაქტიურად სრული ოჯახური იჯარის პრინციპებზეა აგებული. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ დღეს მეაბრეშუმეობა კიდევ არსებობს, ეს მხოლოდ ქართველი გლეხის ამ ისტორიული დარგისადმი ტრადიციული სიყვარულისა და მეაბრეშუმე სპეციალისტების თავდადებული შრომის შედეგია, მხოლოდ სადროშოებსა და საერისთავოებში მისი განაწილება კი დაგვერწმუნეთ, მისთვის მომაკვდინებელი იქნება, გვენდეთ ჩვენ, ამ დარგის თქვენზე მეტ გულშემატკივრებს.

დაბოლოს გაუწყებთ, რომ თბილისში, მეაბრეშუმეობის სათაო საწარმოო-სამეცნიერო ცენტრის განახლებულ შენობაში (ცაბაძის 6) ამჟამად მიმდინარეობს და 15 მარტამდე გაგრძელდება რესპუბლიკის საგრენაჟო ქარხნებში დამზადებული გრენის სახელმწიფო კონტროლი, რომელიც ჯანსაღი და მაღალი ცხოველმყოფელობის, აბრეშუმის გრენის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების დამამთავრებელ და შემმოწმებელ ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპს წარმოადგენს. აღნიშნული წერილის ავტორებს, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მობრძანდნენ და გაეცნონ მის მიმდინარეობას.

გარწმუნებთ, ყველანაირად ვეცდებით თქვენი დაინტერესება მეაბრეშუმეობით გამოვიყენოთ მხოლოდ დარგის სასარგებლოდ, მისი შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით, რაშიც მომავალში თქვენი დახმარების იმედი გვაქვს.

**ს. ოშორიძე,**
**თელავის გრენქარხნის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი;**
**ზ. ბოქსაძე,**
**ზესტაფონის გრენქარხნის დირექტორი;**
**ვ. სიხარულიძე,**
**ჩოხატაურის გრენქარხნის დირექტორი...**
**სულ 29 ხელმოწერა.**

**მეაბრეშუმეობა და მეთუთეობა, მათი ეკონომიკური, მეცნიერული და ეკოლოგიური ასპექტები უკანასკნელ ხანს სპეციალისტთა და ამ დარგის სხვა გულშემატკივართა დიდი ინტერესის საგანია. საკმარისია ითქვას, ზედიზედ გამოქვეყნდა მწვავე წერილები: „ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი“ („სოფლის ცხოვრება“, 19. X. 1990), „უპატრონობა და განუკითხაობა“ („გუთნისდედა“, 5. XI. 1990), „დაიკარგა ქართული აბრეშუმი“ („თბილისი“, 6. XII. 1990), „მეთაურის“ უთაურობა“ („საქართველოს რესპუბლიკა“ 21. XII. 1990), „ამბიცია მეაბრეშუმეობას ვერ აღორძინებს“ (იქვე, 8. II. 1991), „უჭირს ქართულ აბრეშუმს“ (სოფლის ცხოვრება“, 15. II. 1990), „ხომ არ ჩამოვკრათ „განგაშის ზარი?!“, „საქმემან ჩვენმან“... („ახალგაზრდა ივერიელი“ 22. 01., 12. 02. 1991)...**

**ზემოთქმულ პუბლიკაციებს დაინტერესებულ მკითხველთა არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ვაქვეყნებთ ორ წერილს, რომლებიც ეხმიანება ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს.**

---

**პატივცემულო** რედაქცია, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ (22. 01. 1991) გამოქვეყნებულმა სტატიამ — „ხომ არ ჩამოვკრათ განგაშის ზარი?“ გადაგვაწყვეტინა გამოვეხმაუროთ და ზოგიერთ საკითხზე შევეკამათოთ აღნიშნულ სტატიის ავტორს ბატონ ბესიკ საკანდელიძეს.

ბატონო ბესიკ! ვადასტურებთ თქვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აგერ 15-20 წელია არსებობს კონფრონტაცია და დაპირისპირება მეცნიერებისა და წარმოების ხელმძღვანელობას შორის, რომელიც კი არ ცხრება — სულ უფრო ძლიერდება, ზოგიერთების მიზეზით არაკონსტრუქციულ ხასიათს ღებულობს და დიდ ზიანს აყენებს როგორც მეაბრეშუმეობის წარმოებას, ისე მეცნიერებას.

ამჯერად თქვენ, სამიზნედ მეაბრეშუმეობაში ხელმძღვანელად ახლად მოსული პიროვნება, ბატონი გივი ყიფიანი ამოიღეთ.

სარეცენზიო სტატიაში მითითებულია, რომ რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის საკვები ბაზა ძლიერ დაკნინებულიაო. ვფიქრობთ, რომ თქვენ არ გქონდათ ასეთი განსჯის უფლება, რადგან აგერ თბილისში, დიღმის ტერიტორიაზე, ჩვენივე მეთუთეობის საცდელ-ექსპერიმენტული ბაზა ჩვენივე გულგრილობითა და უპრინციპო მოქმედებით სრულიად გაპარტახებული და გავერანებულია; 8 ჰექტარი სრულ ექსპლოატაციაში მყოფი თუთის პლანტაცია უპატრონობისა და მოუვლელობის გამო პრაქტიკულად მოსავალს არ იძლევა და ხმება, ხოლო თუთის სხვა პლანტაციების ფოთლის საჰექტარო მოსავლიანობა 1-1,5 ტონას არ აღემატება.

# ლანძღვით მეაბრეშუმეობას ვერ ავაღორძინებთ

ბრალს დებთ წარმოების ხელმძღვანელობას იმაში, რომ საძირეებად „შულავერის“ თესლიდან მიღებულ თესლნერგს იყენებს და მეაბრეშუმეობის საკვები ბაზა ამით არასდროს არ აღდგებაო. მოდი შევხედოთ ღმერთს და ვაღიაროთ გულახდილად, მივეცით კი ჩვენ წარმოებას მეცნიერული რეკომენდაცია, რომელი თესლი და საძირე გამოეყენებინა სარგავი მასალის მიღებისათვის, გაგვაჩნდა კი ჩვენ თუნდაც თითო ჰექტარი შერჩეული კომბინაციების სათესლე და სადედე პლანტაცია ქუთაისის ან დიღმის მეთუთეობის საცდელ-ექსპერიმენტულ ბაზაში, რაც შესაბამისი დადგენილებითა და რექტორატის ბრძანებითაც გვქონდა დავალებული, ან კიდევ გადავეცით ჩვენ თავის დროზე წარმოებას შერჩეული ჯიშების ელიტური ნერგები ასეთი პლანტაციების გასაშენებლად? რადგან ასეთი რამ დღემდე ჩვენ თვითონ არ გაგვიკეთებია, მოდი სხვის ლანძღვასა და ჩვენი დანაშაულის სხვაზე გადაბრალებას მაინც დავანებოთ თავი და მართლაც შემოვკრათ განგაშის ზარები ამ მეტად საჭირბოროტო საკითხის მოსაგვარებლად.

თქვენ ბრალს დებთ წარმოების ხელმძღვანელობას იმაში, რომ უკრაინის ჯიშები და ჰიბრიდები შემოიტანა ჩვენს რესპუბლიკაში გამოსაცდელადო. რა არის აქ გასაკვირი? მას შემდეგ, რაც ჩვენივე მიზეზით ჩვენთან ფოთლისა და გამოსაკვები ფართობის უკმარისობის, აგრეთვე სხვა ხელშემშლელი მიზეზების გამო სელექცია ძალზე მცირე ძალალაზე და ექსტენსიურად მიმდინარეობდა, რითაც ძლიერ დაგვიანდა აბრეშუმის ჭიის ახალი ჯიშების წარმოებაში დანერგვა, აუცილებელი გახდა ასეთი არაორდინალური ღონისძიების განხორციელება და იგი სავსებით მოიწონა თვით აკადემიკოსმა ვ. ა. სტუნიკოვმაც (მოსკოვი). შედეგიც დადებითია. ამიტომ თქვენი გარჯილობა ამ საქმეში უადგილოა.

პებრინის დაავადებას მალავენო, რეკავს თქვენი განგაშის ზარები. განა მოიძებნება დედამიწის ზურგზე ისეთი ადამიანი, რომელიც საკუთარ დაავადებას მალავდეს და ისე იკურნებოდეს? ეს ხომ უსუსური ბრალდებაა. პებრინის დაავადება მართლაც გამოვლინდა რამდენიმე ადგილას, მაგრამ იგი ლოკალიზებული იქნა და გატარდა პროფილაქტიკური ზომები მისი ლიკვიდაციისათვის ინსტრუქციის შესაბამისად. ამ საქმეში არავითარ თვალის ახვევას ადგილი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

ბატონ გივი ყიფიანს უწუნებთ და ბრალს სდებთ წარმოების მართვის სტრუქტურაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას, იმ დროს, როდესაც თქვენი და ჩვენი გულგრილობით დიდი ზიანი მიადგა მეაბრეშუმეობის ერთ-ერთ უძველეს სამეცნიერო დაწესებულებას, რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ფუნქციონირებდა მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის სახელწოდებით, როცა გაუქმდა იგი და მის ნაცვლად პრობლემური ლაბორატორია ჩამოყალიბდა.

ბატონ გივი ყიფიანს მეაბრეშუმეობაში მუშაობის პერიოდში, სულ რომ არაფერი გაეკეთებინა, მარტო ის იკმარებდა, რომ განადგურების პირამდე მიყვანილი მეაბრეშუმეობის სპეციალური შენობა, მსოფლიოში ერთადერთი დარგობრივი უნიკალური მუზეუმით, უმოკლეს დროში აღადგინა და დააბრუნა ეროვნული კულტურის საგანძურში.

სათქმელი ბევრი დაგვრჩა, მაგრამ ვინაიდან საუბარი გაგვიგრძელდა, აქ შემოვკრათ განგაშის ზარები და ვამცნოთ ყველას, რომ ღვარძლითა და უსაფუძვლო ლანძღვა-გინებით მეაბრეშუმეობას ვერ ავაღორძინებთ! მაგრამ საამისოდ თუ რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო, ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

**ალექსანდრე ძნელაძე,**
**საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობისა და მეთუთეობის კათედრის დოცენტი.**

---

# საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის ერთობლივი განცხადება

ა. წ. 5 მარტს გამთენიისას დაუდგენელი პირების მიერ დარბეულ იქნა საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის შტაბ-ბინები (რუსთაველის პროსპ. № 21, I სართ.). ანალოგიურ ფაქტებს ადრეც ჰქონდა ადგილი (1990 წლის სექტემბერში). აღარაფერს ვამბობთ იმ წვრილმან ინციდენტებზე, რომლებიც პერიოდულად მეორდება, რისგანაც, ალბათ, არც შემდგომში ვართ დაზღვეული. არ ვიცით, ვის აძლევს ხელს ასეთი ქმედება და რა უდევს საფუძვლად, მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ ამ გაურკვეველ ძალებს ჰირდებათ კონფრონტაციული მარცვლის ჩაგდება.

საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაცია აცხადებს პროტესტს ამგვარი ქმედებებისადმი და მიმართავს იმ ძალებს, ვინც ამ დამსგავს საქციელს მიიჩნევს პოლიტიკური ბრძოლის იარაღად, რომ ვერ შესძლებენ ჩაგვითრიონ კრიმინალურ ურთიერთობებში.

ჩვენი პოზიცია გარკვეულია და მას ვერავითარი ხულიგნური გამოხდომებით ვერ შეგვაცვლევინებენ.

**საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მთავარი კომიტეტი;**
**საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაცია.**

P. S. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაცია აცნობებს საზოგადოებრიობას, რომ დარბევის დროს გატანილ იქნა ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი მოწმობები. გთხოვთ ასოციაციის სახელით რომელიმე პირის მოქმედების შემთხვევაში, დაკვირვებით შეამოწმოთ მოწმობა. საეჭვო შემთხვევაში დაგვიკავშირდით ტელეფონით 93-67-93.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრკ შეიარაღებული ძალების სტრუქტურა




# აშკარა-დაუჯერებელი

„აქ მოცემული სქემა არასდროს გამოქვეყნებულა"... ასე იწყებს სამხედრო კორესპონდენტი სსრკ შეიარაღებული ძალების სტრუქტურის ამხსნელ წერილს („იზვესტია" 22. 02. 1990) და რამდენიმე საგულისხმო შენიშვნასაც გვთავაზობს.

თებერვლიდან თებერვლამდე, ერთ წელიწადში, სსრკ შეიარაღებულ ძალებში, ანუ საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში დიდი ამბები მოხდა. საკმარისია მარტო ის ითქვას, რომ დაიღუპა 2000-ზე მეტი ჯარისკაცი, მათგან ყოველმა მეოთხემ თავი მოიკლა...

2000 ჭაბუკის სიცოცხლე! რატომ? რისთვის? აბა, შეადარეთ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა თანამდგომმა ქვეყნებმა ათჯერ ნაკლები კაცი დაკარგეს, სამაგიეროდ გაათავისუფლეს სადამ ჰუსეინის რეჟიმისაგან ანექსირებული ქუვეითი; არაფერი ამის მსგავსი სსრკ შეიარაღებულ ძალებს არ გაუკეთებიათ და მაინც ამდენი მსხვერპლი?!

სსრკ კონსტიტუციის მიხედვით (თავი 5, მუხლი 31) „სოციალისტური სამშობლოს დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს განეკუთვნება და მთელი ხალხის საქმეა.

სოციალისტურ მონაპოვართა, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით შექმნილია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები და დაწესებულია საყოველთაო სამხედრო ვალდებულება.

ხალხის წინაშე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოვალეობაა საიმედოდ დაიცვან სოციალისტური სამშობლო, მუდამ მზად იყვნენ ბრძოლისათვის, რათა დაუყოვნებლივ უკუაგდონ ნებისმიერი აგრესორი".

ეს ლიტონი სიტყვებია, რომელიც საქმით არ დასტურდება. სამაგალითოდ საქართველოს მოუშუშებელ ჭრილობათა გახსენებაც კმარა: 1921 წლის თებერვალი; 1956 წლის 9 მარტი; 1989 წლის 9 აპრილი... ათობით ათასი სხვაგან და სხვის ომში დაღუპული ჩვენებურები, რომელთა გენი და შთამომავლობა აგრე აკლია აწინდელ საქართველოს!

სწორად შენიშნავს ბორის ელცინი — „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, არმია და შინაგან საქმეთა სამინისტრო... ეს ყოჩაღი ორგანიზაციები ყოველთვის იყო სახელმწიფოებრიობის დასაყრდენი. ტოტალიტარული სისტემების დროს მათი როლი და ძლიერება ბევრად და ბევრად იზრდება, არცერთ ამ ორგანიზაციას გარდაქმნათა სიო არ შეხებია"...

დიახ, უთქმელი დევიზი: „გათიშე, დაიპყარ, იბატონე", რაც თრგუნავდა მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში მცხოვრებ ხალხებს ლენინის, ტროცკის და სტალინის დროს, გორბაჩოვის, კრიუჩკოვის, პუგოს, პავლოვისა და იაზოვის დროსაც ძალაში რჩება. გაიხსენეთ, აქ — ბაქოს, ერევნის, ოშის, ფერღანის, ვილნიუსის, რიგის ტრაგედიები, „ომონები", „შავი ბერეტები" და „შავი თუ წითელი პოლკოვნიკები"... იქ, სადამ ჰუსეინის ჯარების კბილებამდე შეიარაღება და ერაყელთა საწვრთნელად ჩასული 50 ათასი საბჭოთა სამხედრო ინსტრუქტორი...

ერთი სიტყვით, კაცი ბრმა, ყრუ და მუნჯი თუ არ არის, ადვილად მიხვდება, რომ საბჭოეთის დღევანდელი ლიდერები საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს საზღვარ გარეთ ფინეთის, უნგრეთისა თუ ავღანეთის, ხოლო საზღვარს შიგნით კრონშტადტის, თბილისისა თუ ნოვოჩერკასკის ცნობილი სცენარებით ათამაშებენ...

ახლახან, 23 თებერვალს, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა საგულისხმო სტატისტიკა: საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე და ნატოს ბლოკს შორის სამხედრო ტექნიკის სხვაობის ამსახველი ციფრები. ჩამოთვლილია ოცი დასახელების მრავალი ათასი სამხედრო ტექნიკა — არტილერია, ტანკები იქნება თუ საკონტინენტთაშორისო რაკეტები...

აშკარად ჩანს, საბჭოთა სამხედრო ტექნიკის რიცხობრივი უპირატესობა, ხოლო ხარისხობრივად ამერიკული რომ უმჯობესია ეს სპარსეთის ყურეში გამოჩნდა...

საბჭოთა ცენზურა ყოველთვის ებრძოდა სიტყვას, ციფრს, ფოტოს, „მშობლიური" სამხედრო ძალის ამსახველ ჭეშმარიტ სტატისტიკურ თუ გრაფიკულ გამოხატულებას, მისთვის გაღებული მილიარდების წარმოჩენას. საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი პრესას, მხატვრულ ლიტერატურას, მუსიკას, ფერწერას, ქანდაკებას თუ კინოხელოვნებას მხოლოდ და მხოლოდ გამანთავისუფლებელის მანტიით უნდა შეემოსა. არადა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ყაზახეთის სტეპებში მშვიდობიან პერიოდში ხაცადმა ატომურმა ბომბებმა დედამიწას ათასჯერ მეტი ზიანი მოუტანა, ვიდრე ომის დროს ნაგასაკისა და ხიროსიმას თავზე ჩამოგდებულმა ორმა ამერიკულმა...

ბოლო ხანს განვითარებულმა მოვლენებმა — აშკარად დაგვანახა ჯერ არმიის ნამდვილი სახე, ძალა და საშუალებანი, შემდეგ სსრკ პრეზიდენტისა და სამხედრო უწყებათა ალიანსი...

დასასრულ, დაინტერესებულ მკითხველს უნდა ვაუწყოთ, რომ ჩვენს რედაქციასთან მოქმედებს მცირე ჯგუფი, რომელსაც საქართველოს ეროვნული არმიის აღორძინების საქმეში თავისი შესაძლო წვლილის შეტანის დიდი სურვილი აქვს. ქალბატონების — ლალი გოგოხიას და ლუიზა ჭიკაძის (მხატვრები), ბატონ დიმიტრი გულისაშვილის (ჟურნალისტი, მწერალი, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, გვარდიის გადამდგარი კაპიტანი) და ამ სტრიქონების ავტორის აქ მოცემული სქემაც ამ განწყობით არის გადმოქართულებული.

**გვანჯი მანია**

# რამდენი კომუნისტია საქართველოში?

ამ რამდენიმე ხნის წინ დიდი დავა გამოიწვია გაზეთ „ლენინსკოე ზნამიადან" გადმობეჭდილმა წერილმა, რომელიც იუწყებოდა, რომ საქართველოს კომუნისტების ანგარიშზე მხოლოდ 50 ათასი მანეთი ყოფილა დარჩენილი და კრემლისთვის უთხოვიათ სესხად 10 მილიონი. მოგვიანებით დავა იმის თაობაზე გაგრძელდა, მართლა ეს ათი მილიონი ასესხა ცენტრმა თუ მილიონნახევარი. ყურადღების გარეშე კი დარჩა თვით ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპარტიის ბიუჯეტში აღმოჩნდა სულ 50 ათასი მანეთი. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თუ კომპარტიის წევრთა საშუალო თვიურ შესატანად 2,5 მანეთს ვგულისხმობთ, სალაროში იმ დროისათვის ყოფილა 20 ათასი კაცის ერთი თვის შესატანი. როგორ გავიგოთ, მაშ რამდენი კაცია დღეს საქართველოს კომპარტიაში, 20 ათასი, თუ ის 400 ათასი, რომელსაც კომპარტიის მტკიცებით ბევრი არავინ დაჰკლებია?

კომპარტიისაგან სიმართლის თქმის მოთხოვნა მეტისმეტი ფუფუნებაა: დემოკრატიისაგან და თავისი ხალხის მიმართ გულახდილობისაგან ისინი ყოველთვის შორს იდგნენ და ამიტომაც დღემდე საგულდაგულოდ მალავენ პარტიის იმ წევრთა ვინაობას, ვინც გადააგდო პარტბილეთი, დააბრუნა ან ნახევარი წლის საწევრო აქვს გადაუხდელი.

**ამიტომ, გთავაზობთ რეფერენდუმს:** თუკი საბჭოთა მთავრობამ ჩვენს დემოკრატიულ არჩევნებში შეიტანა ეჭვი და რეფერენდუმს გვიწყობს, რათა თავიდან დავუდასტუროთ, რომ არ გვსურს სსრკ-ს შემადგენლობაში დარჩენა, რატომ არ შეიძლება ჩვენმა კანონიერმა მთავრობამ — უზენაესმა საბჭომ შეიტანოს ეჭვი საქართველოს კომპარტიის წევრთა რაოდენობაზე? ამიტომ, 31 მარტს, როცა მოეწყობა ადგილობრივი მმართველობის არჩევნები და რეფერენდუმი საქართველოს თავისუფლების მოთხოვნით, **პარალელურად მოვაწყოთ რეფერენდუმი კომუნისტთა აღრიცხვით: საარჩევნო უბნებში დავარიგოთ აღრიცხვის ჟურნალები, რათა ყველამ, ვინც თავს თვლის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად, თავი აღრიცხოს იმ ჟურნალში! ამგვარად, ბოლოსდაბოლოს შევძლებთ დავადგინოთ, თუ რამდენი კომუნისტია საქართველოში!**

**ხანდრო ხულამანიძე**
**ჯაბა ჟურციძე**

ჩვენი სადისკუსიო კლუბი

# ჩვენი მიზანია...



## გვესაუბრება ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის სპიკერი

**საზოგადოების დემოკრატიზაციამ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ. პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ინტერესი პოლიტიკისა და საერთოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერებისადმი. სამწუხაროდ, ამ ფონზე მეტად თვალშისაცემია პოლიტიკის შესახებ მეცნიერული ცოდნის დეფიციტი.**

**რამ გამოიწვია ეს? უპირველესად სამოცდაათწლიანი იდეოლოგიის ტყვეობამ, მარქსიზმ-ლენინიზმის ტრადიციებისადმი „ერთგულებამ"...**

**დღეს, როცა ასე დაიძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, და შეიცვალა ჩვენი პოლიტიკური ცნობიერება, სულ უფრო მეტად იგრძნობა პოლიტიკის შესახებ ჭეშმარიტი მეცნიერების საჭიროება...**

**როგორ დავძლიოთ წლების განმავლობაში გაბატონებული სქოლასტიკა, ყალბი იდეოლოგიური შტამპები, პოლიტიკური მეცნიერების ჩამორჩენა?**

**სწორედ ამ მიზნით გასული წლის ნოემბერში შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაცია. მისი შექმნის ინიციატორები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტები არიან.**

**მათი მიზანია...**

**თუმცა ამის შესახებ უმჯობესია ასოციაციის სპიკერს კორნელი კაკაჩიას მოვუსმინოთ:**

— ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ საქართველოში მიმდინარე ეროვნული განახლების პროცესებს, სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, დემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურების ფორმირებას.

ასოციაციის უპირველესი ამოცანაა უნივერსიტეტისა და ქართველი ახალგაზრდობის ფართო წრეებში საზოგადოებრივი მეცნიერების, კერძოდ, პოლიტოლოგიის სპეციალობის პოპულარიზაცია და ამ საგნის საფუძვლიანი ათვისებისათვის ხელის შეწყობა, პოლიტოლოგიის, როგორც სამეცნიერო საგნის დამკვიდრება უნივერსიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და საერთოდ, ქართული პოლიტიკური აზრის აღორძინება...

**— რას გულისხმობთ ქართული პოლიტიკური აზრის აღორძინებაში?**

— საქართველოს ოდითგან ჰქონდა საკუთარი პოლიტიკური თვალთახედვა, რომელიც მისი ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ამის მაგალითად კმარა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის და სხვა ქართველ მეფეთა პოლიტიკური კურსი, რომელიც მათივე პოლიტიკური აზრიდან გამომდინარეობდა. რამდენიმე საუკუნით ადრე კი საქართველოში სერიოზულად იხილავდნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ერთმმართველობის იდეოლოგია (იოანე პეტრიწი), მოკავშირის პრობლემა საქართველოში (აიეტი, ფარნავაზი, სულხან-საბა), მოძღვრება სახელმწიფოს მეთაურზე და სხვა. მოგვიანებით სოლომონ ლიონიძის, ალექსანდრე ამილახვრის, სოლომონ დოდაშვილის, არჩილ ჯორჯაძის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის ეროვნული განვითარების პოლიტიკური კონცეფციები, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს ქართველი ერის პოლიტიკურ ცნობიერებაზე და ვინ იცის, რომ არა 1921 წლის ბოლშევიკური ანექსია, როგორ და რომელი კონცეფციის საფუძველზე განვითარდებოდა დამოუკიდებელი საქართველო. სამწუხაროდ, გასაბჭოების შემდეგ, ძირეულად შეიცვალა ქართული პოლიტიკური აზროვნება, სოციალისტური და პოსტკომუნისტური იდეოლოგიის მარწუხებმა ხელოვნურად შეაფერხა მისი ბუნებრივი განვითარების პროცესი.

ამჟამად, როცა საქართველო იბრძვის სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, საჭიროა და თანაც აუცილებელი, ავაღორძინოთ მიძინებული ქართული პოლიტიკური აზრი...

**— ვფიქრობ, ეს საქართველოში პოლიტოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარებასაც გულისხმობს...**

— გეთანხმებით, ბოლო დროს ჩვენს პრესაში ძალზე მომრავლდა სხვადასხვა პოლიტოლოგიური ხასიათის ნაშრომები... კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და უმრავლესობას მათ შორის არავითარი კავშირი არა აქვს ამ დისციპლინასთან. ეს გახლავთ ძველებურ ყაიდაზე დაწერილი ნაშრომები, რომლებიც უფრო ხშირად „მარქსისტულ-ლენინური" ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის დამყაყებულ დოგმებს ეყრდნობა, უკეთეს შემთხვევაში კი დაბალი ღირებულების კომპილაციებს წარმოადგენს. ჩვენ არა ვართ პოლიტოლოგიაზე მონოპოლიის მომხრენი, პირიქით, ყველანაირად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ ამ დისციპლინის შემსწავლელებს, სწორედ ამიტომ ვიწვევთ და ვთანამშრომლობთ როგორც დასავლეთის, ისე ჩვენი ქვეყნის ცნობილ მეცნიერებთან, მაგრამ ასეთი სახის პოლიტოლოგიური ხასიათის ნაშრომები, ვფიქრობ, სასიკეთოს ვერაფერს მისცემს ჩვენს საზოგადოებას.

რაც შეეხება ამ დარგის განვითარებას, ამის მიღწევა, მიუხედავად დიდი სირთულეებისა, უახლოეს ხანში მაინც შეიძლება... ამისათვის კი ერთიანი ძალისხმევაა საჭირო: უპირველესად უნდა შეიქმნას პოლიტოლოგიური ცენტრი, რომელშიც თავს მოიყრიან ამ დარგის სპეციალისტები და რომელიც უმოკლეს ვადაში ჩადგება ერის სამსახურში. არა აქვს მნიშვნელობა ვისი ეგიდით შეიქმნება იგი — პარლამენტის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა თუ მეცნიერებათა აკადემიის... გარდა ამისა, აუცილებელია უნივერსიტეტში გაიხსნას პოლიტიკურ მეცნიერებათა, იგივე პოლიტოლოგიის ფაკულტეტი...

აქვე მინდა თხოვნით მივმართო საქართველოს ხელისუფლებას, სერიოზულად დაინტერესდეს ჩვენი პრობლემებით და ხელი შეგვიწყოს, რომ ჩვენს ასოციაციაში გაერთიანებული ახალგაზრდები უცხოეთში მივავლინოთ სტაჟირებაზე, მით უმეტეს, რომ უცხო ენის მცოდნენი ჩვენს ასოციაციაში საკმაოდ არიან... სხვაგვარად ჩვენ ვერასგზით ვერ შევძლებთ საქართველოში ამ მეტად საჭირო დისციპლინის დანერგვასა და განვითარებას.

**— საქართველოს პარლამენტის წინაშე უკვე დგას ალტერნატიული პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბების საკითხი, ინერგება მმართველობის ახალი ფორმები, თქვენ, როგორც მომავალი პოლიტოლოგი, სახელმწიფო მოწყობის რომელ ფორმას მიიჩნევთ მისაღებად...**

— საქართველო მე წარმომიდგენია როგორც ფედერალური მოწყობის დემოკრატიული სახელმწიფო, საკუთარი ეროვნული, პოლიტიკური ინსტიტუტებით. სახელმწიფო მოწყობის ამ ფორმამ წარმატებით გაუძლო მკაცრ გამოცდას მსოფლიო კლასიკური ტიპის ისეთ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორებიცაა აშშ, გერმანია, ავსტრალია, კანადა, შვეიცარია და სხვა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქართველო (თავისი ბრწყინვალების ხანაში) ისტორიულად წარმოადგენდა ასეთი ტიპის სახელმწიფოს, თუმცა მოწყობის ეს პრინციპი მაშინ ფეოდალური ყაიდის მონარქისტულ სახელმწიფოს ეფუძნებოდა, მაგრამ სწორედ ეს პრინციპი გახდა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი მისი საგარეო პოლიტიკური წარმატებისა, როგორც კავკასიაში, ისე მთელს ახლო აღმოსავლეთში.

სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად ამ პრინციპმა რღვევა განიცადა და იგი კუთხურ სეპარატიზმსა და პარტიკულარიზმში გადაიზარდა, ამან კი დამღუპველად იმოქმედა მთელი ერის ცნოვრებაზე.

ვფიქრობ, საქართველო უნდა დაუბრუნდეს თავისი სახელმწიფოებრივი მოწყობის და ბუნებრივი განვითარების იმ გზას, რომელიც მისთვის საუკუნეთა განმავლობაში იყო დამახასიათებელი. ვფიქრობთ, საქართველოს ამჟამინდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისათვის უცხო არ უნდა იყოს სახელმწიფო მმართველობის ეს პრინციპი. ჩემი აზრით, ეს ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებას და მის ტრანსფორმაციას პროგრესულ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ...

**— როგორც ვიცი, თქვენი ასოციაცია სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწევა..**

— ჩვენთან სამეცნიერო მუშაობა ეფუძნება სხვადასხვა სახის კოლეგიების ფუნქციონირებას, რომელთაგან აღსანიშნავია დიპლომატიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, სოციოლოგიური აზრის შემსწავლელი, უცხოეთთან ურთიერთობის, გამომცემლობითი და პრესასთან ურთიერთობის კოლეგიები.

ასევე შექმნილია სპეციალური კომისია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დღევანდელ საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების და უახლოესი პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლა, ვითანამშრომლებთ საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციასთან, უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ პოლიტოლოგიის კათედრებთან და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ორგანიზაციებთან. ამ მხრივ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკური თეორიისა და პოლიტოლოგიის კათედრებთან თანამშრომლობის მიმართულებით.

გარდა ამისა, ასოციაცია ხელს შეუწყობს პოლიტიკური ცოდნის გავრცელებას, საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლებას და კიდევ ერთიც:

ვინაიდან ჩვენთან გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, ჩვენი აზრით, ასოციაციამ ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკურ დიალოგს, როდესაც კეთილმოსურნეობის ატმოსფეროში შესაძლებელი იქნება სხვადასხვა საპირისპირო მოსაზრების განხილვა და კონსენსუსის მიღწევა.

ესაუბრა **მარინე დონაძე.**

---

**სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს**
**სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს**
**რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ნ. ელცინს**
**რსფსრ უზენაეს საბჭოს**

# თბილისში მცხოვრები ოსი ეროვნების მოსახლეობის მიმართვა

**1991 წლის** 7 იანვარს გამოცემულ პრეზიდენტის ბრძანებულებას მოჰყვა ვითარების უკიდურესი დაძაბვა საქართველოში, კერძოდ, სამაჩაბლოში. ამ რეგიონის ამბები იმის პირდაპირი შედეგია, რომ ცენტრს სურს ვითარების დესტაბილიზაცია საქართველოში, რომლის ხალხი იბრძვის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ოსი ექსტრემისტები, რომლებიც ცდილობენ საქართველოს მოსწყვიტონ მისი ოდინდელი ტერიტორია, არ განიცდიან იარაღის ნაკლებობას, რომლითაც მათ სამხედროები ამარაგებენ. რად ღირს მარტო ის ფაქტი, რომ ამ ექსტრემისტთა მეთაურის კულუმბეგოვის შტაბი ცხინვალის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში იყო. ჩრდილოეთ ოსეთიდან გზავნიან დივერსანტებს, უახლესი სამხედრო საჭურვლით შეიარაღებულ სნაიპერებს, ახორციელებენ ტერორს ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. ოსმა ექსტრემისტებმა ქართველები ლტოლვილებად აქციეს საკუთარ სამშობლოში.

„ოსური კონფლიქტი" ოსი საბჭოთა ფუნქციონერების მოწყობილია და იგი მოჰყვა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" გამოცხადებას, რესპუბლიკისა, რომლის მიზანი იყო საქართველოს გვერდის ავლით საბჭოთა კავშირში გაერთიანება, იმის მიუხედავად, სურდათ თუ არა სამაჩაბლოში მცხოვრებ ქართველებს თავის დედასამშობლოსაგან დაცილება.

დიდი ხანია შევეჩვიეთ დეზინფორმაციასა და სიმართლის გაუკუღმართებას მასობრივი ინფორმაციის ცენტრალური ორგანოების მხრიდან, რომლებიც სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესებს დამახინჯებულად ასახავენ, თითქოსდა ადგილობრივი ოსი ეროვნების მოსახლეობა ქართველ მოიერიშეთა მსხვერპლია.

გარდა ამისა, ჩნდება ახალი ფაქტორი — „რუსულენოვანი მოსახლეობა", რომელიც თითქოსდა შველას ითხოვს. ეს მაშინ, როცა საქართველოში არასოდეს არ დაუჩაგრავთ არც ერთი ერი.

თბილისში მცხოვრები ოსი ეროვნების მოსახლეობა მოგმართავთ თხოვნით, მიიღოთ სასწრაფო ზომები საქართველოსთვის თავს მოხვეული, ხელოვნურად გამოწვეული ეთნოკონფლიქტის ჩასაქრობად და მოსალოდნელი სამხედრო ჩარევის თავიდან ასაცილებლად, სასწრაფოდ გამოიყვანონ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყოველგვარი ნაწილები სამაჩაბლოდან და მისცეთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას საშუალება, თვითონ გადაწყვიტოს სამაჩაბლოს პრობლემებთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

**თბილისში მცხოვრები ოსი ეროვნების მოსახლეობისაგან — სულ 607 ხელმოოწერა.**

საქინფორმი.

---

# 31 მარტი ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების არჩევნების დღეა

**(დასასრული)**

***— როგორ წარმოგიდგენიათ არჩევნების შემდეგ თქვენი მოღვაწეობა და როგორ შეიცვლება თქვენი პარტიის პროგრამა?***

— თუ არჩევნებში ჩვენ ანგარიშგასაწევ რეალურ პოლიტიკურ ძალად არ წარმოვჩნდით, მე პირადად გადაწყვეტილი მაქვს, შევეშვა პოლიტიკოსობას. რა თქმა უნდა, პროგრესულ-დემოკრატიული პარტია და მცირე საწარმოთა და კოოპერატორთა დამოუკიდებელი კავშირი, რომელსაც დღეს მე ვხელმძღვანელობ, განაგრძობს ფუნქციონირებას. სურვილი მაქვს, უფრო მეტად მივხედო კონცერნს, ქარხანას.

დღეს საქართველოს ბევრი რამ სჭირდება. გვაწუხებს ენერგეტიკული პრობლემები. მოლაპარაკება გვაქვს ქარზე მოქმედი და მცირე ღელეებზე დასაყენებელი ენერგობლოკების შესყიდვაზე და მათ მონტაჟზე, შესაძლებელია საქართველოში მათი გამოშვებაც. განსაზღვრულია მოსახლეობისთვის საკვები პროდუქტების შემოტანა ბარტერით, თუ, რა თქმა უნდა, მთავრობამ მხარი დაუჭირა ჩვენს წინადადებას. საქმე ბევრია...

ამ დაძაბულ მდგომარეობაში კინკლაობა ცალკეული კანონების შესახებ გაუმართლებელი და უშედეგო მეჩვენება. ეკონომიკური რეფორმა თუ გატარდა, უნდა გატარდეს კომპლექსურად. სხვაგვარად მას აზრი არ ექნება. ეს კი მოითხოვს ხელისუფლების მიერ კარდინალური ძვრების მოხდენას. ადრე თუ გვიან, რადიკალური რეფორმის აუცილებლობის წინაშე დავდგებით. შემდეგ, ალბათ, ისევ შევეცდები ამ საკითხების გადაწყვეტაშიც ნაყოფიერად ვითანამშრომლო პარლამენტთან.

ესაუბრა **ლელა ცუცქირიძე.**

---

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და წარმომადგენელთა პალატის წევრთა საყურადღებოდ!**

1991 წლის 10 მარტს, კვირას, დღის 2 საათზე, პარტიის შტაბ-ბინაში (რუსთაველის პრ. 29) გაიმართება წარმომადგენელთა პალატის კრება. დასწრება სავალდებულოა.

**ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტი, დრო, საზოგადოება

# „მეოთხე ხელისუფლების" შუქ-ჩრდილები...

**ჟურნალისტის** პროფესია არასოდეს არ ყოფილა ასეთი საპასუხისმგებლო, საზოგადოებრივი მნიშვნელობით დატვირთული, გაჯერებული პროფესია, ამავე დროს სარისკო, ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამოსარიცხი მტკიცებებით, არც თუ იშვიათად სახიფათო, ხშირად უმადური შრომა, როგორც ახლა.

დღეს ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობა, პრესა, ტელევიზია, რადიო სხვადასხვა კონფლიქტების, პოლიტიკური, ეროვნული, სოციალური, ეკონომიკური ძვრების ფოკუსშია — ამ პრობლემების ასახვის, წარმოჩენის, მათი გადაწყვეტის გზების ძიების აღმნუსხველი, ორგანიზატორია. აქედან გამომდინარე, მას არც კოპები აკლია და... არც წინააღმდეგობები, ზოგჯერ გაკილვაც, თუმცა საზოგადოების მხარდაჭერაც მყარი გააჩნია.

იმიტომ, რომ „პირველნი" არიან, — მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, დღედაღამ ნომერ პირველ პოსტზე დგანან, — საზოგადოების სამსახურში იხარჯებიან;

ჩვენს დღევანდელ ვითარებაში, საიმპერიო ნასუფრალზე გაზრდილი და ნასაზრდოები მოსკოვის, „ცენტრის" ჟურნალ-გაზეთები, ჟურნალისტები ღმერთისა და ადამიანის წინაშე სიბოროტეს სჩადიან, შხამს ანთხევენ, ეროვნული შეგნების გამღვივებელნი, მომწოდებელნი არიან. სათქმელის არჩევანი, მისი წარმოდგენა, მკითხველამდე მიტანა — პოზიციაა, რომელიც ჟურნალისტის, გაზეთის დანიშნულების მანიშნებელია, — მხოლოდ სიმართლე, არგუმენტები და ფაქტები უნდა განსაზღვრავდეს მათ მოწოდებას.

ცენტრალური გაზეთების უმრავლესობა, მისი მსახური ჟურნალისტები დღეს ძალადობის, ნგრევის, სიცრუის მქადაგებელნი არიან.

იმპერიის „ბუნკერში" დაბადებული და ნაზარდი, კომუნისტური იდეებით ნასაზრდოები, ნალოლიავები ჟურნალისტები, გაზეთები: „პრავდა", „იზვესტია", „კომსომოლსკაია პრავდა", „სოვეტსკაია როსია". „მოსკოვსკიე ნოვოსტი", სხვა გაზეთები, — „მეორე უძველესი" პროფესიის ცნების გამართლებას ცდილობენ, — „როსკიპობით" გააქვთ თავი, იყიდებიან, აკრძალული ხერხების გამოყენებით, სპეკულაციური საშუალებებით აღწევენ საწადელს. მათი კალამი შხამში, სისხლშია ამოწობილი.

რუსი ჩეხოვი ოპონენტს წერდა: „...წავიკითხე შენი ნაწერი და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ტარაკნებით სავსე მელანი შევსვი"-ო. უკეთესად ვერ იტყვი.

სინამდვილეს ვერ გაექცევი,— „მეოთხე ხელისუფლება" — კოლონიალურ დამოკიდებულებაში მყოფ ადამიანს ჩაგრავს, მის უფლებებს ხელჰყოფს, საკანონმდებლო, საშემსრულებლო, სასამართლო ორგანოები, პრესა — ხალხის ნების გამომხატველი უნდა იყოს.

პრესის თავისუფლება არა მხოლოდ ცენზურის უქონლობას გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა საზოგადოებაში დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანების ინდივიდუალური საყრდენების, საფუძვლების — კერძო საკუთრების მქონე ადამიანების პრეროგატივაა.

ვითომდა ცენზურა არ გაგვაჩნია, მაგრამ საგაზეთო გვერდებში ხშირია კონიუნქტურისტთა, კომფორმისტთა შემოქმედება, რომელთა აზრები და შეხედულებები „ამინდიდან" გამომდინარე კომპლექტდება.

მხოლოდ შეხედულებების, აზრების ერთიანობაზე, ანდა წინააღმდეგობებზე როდია საუბარი. აქ საქმე პასუხისმგებლობას ეხება, პროფესიონალის პატიოსნებას, მკითხველისადმი, კოლეგისადმი პატივისცემას.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. საკავშირო ჟურნალისტთა კავშირის VII ყრილობამ რეზოლუცია — „ჟურნალისტის პასუხისმგებლობის თაობაზე." არ მიიღო. უფრო სწორად — ვერ მიიღო. საგულისხმო ფაქტია.

საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოების ბოლო წლების მიღწევები, მისი თვალშისაცემი შედეგები, დემოკრატიისაკენ, თავისუფლებისაკენ მიმავალი გზების ძიება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპური წინსვლის, ადამიანის პოლიტიკური, ეროვნული თვითშეგნების ზრდის, საზოგადოებრივი შეგნების ამაღლების წინააღმდეგობებით აღსავსე ვითარებაში, ფართო წარმომადგენლობასთან ერთად და მხარდამხარ ავანგარდულ როლს ასრულებენ კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების სფეროს — ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ქართველი მწერლები, ჟურნალისტები თავის ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწევიან ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციის, გნებავთ მისი რეგულირების, სწორად წარმართვის, საზოგადოების დემოკრატიისაკენ, თავისუფლებისაკენ სწრაფვას ზოგადეროვნულ პროცესში.

ჟურნალისტიკა თავის ბუნებაში ყოველთვის იტევს საზოგადოების ნებისმიერი პროცესის, მოვლენის, ამა თუ იმ გადაწყვეტილების კრიტიკულ ანალიზს. ამ ასპექტში ხელისუფლების, მკითხველის ნდობის გარეშე ჟურნალისტის მუშაობა აზრს მოკლებულია. თვინიერი გაზეთი თუ ჟურნალისტი არავის არ უნდა აწყობდეს, რამეთუ უზენაესი მოწოდება ჭეშმარიტების სამსახურია მაინც.

არავის დამოძღვრას, არც ჭკუის სწავლებას არ ვაპირებ, პროფესია, ცხოვრება მკარნახობს მოგახსენოთ, გაზეთი, ჟურნალისტი დღევანდელ სინამდვილეში, ჩვენს საზოგადოებაში არა მხოლოდ ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, სიმართლეს, ჭეშმარიტებას ქადაგებს, არამედ პირიქითაც ხდება, ფსევდოფასეულობებს, ფსევდოიდეებსაც ემსახურება, არასწორ ეროვნულ პოზიციებზე დგას.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს, გაზეთ „ცხოვრების", მისი კოლექტივის, მთავარი რედაქტორის ბატონ ლადო ალფენიძის მოკლე პერიოდის საქმიანობას ფართო საზოგადოება, მკითხველი, მათ შორის კოლეგები — ჟურნალისტები, მწერლები, გაზეთის მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯებს გარკვეულწილ ანტიეროვნული, ანტიდემოკრატიული, კომუნისტური ძალების, იდეების, მარქსიზმ-ლენინიზმის ფსევდოიდეოლოგიური მომძლავრების კვლავ პირველ პლანზე წარმოჩენად აფასებენ, ანტისაზოგადოებრივი ძალების ახალი აღზევების მცდელობად მიიჩნევენ.

გაზეთ „ცხოვრების" მიერ კოლეგების, ჟურნალისტების, გაზეთის რედაქციების მიმართ უტაქტო გამოხდომები, არაეთიკურ, გაუმართლებელ ნაბიჯებად აღიქმებიან. „ცხოვრების" მიმართ გაზეთების, კოლეგების მიერ პრინციპში სწორი, დროული კრიტიკის საპასუხოდ გაზეთ „ცხოვრების" 1991 წლის 16 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული „შეფასებები", იქვე დასტამბული სარედაქციო „ულტიმატუმები" — სიკეთის მომტან აქტად არ ჩაითვლება.

მეტი ობიექტურობა, საკუთარი ნაფიქრალის, ნაწერის კრიტიკული შეფასება გვმართებს.

იქნებ დავფიქრებულიყავით.

„მეოთხე ხელისუფლების" წარმომადგენლებს — ჟურნალისტებს მეტი ურთიერთკონტროლი, პროფესიონალიზმი, ურთიერთდახმარება გვმართებს, ურთიერთდაპირისპირების ინიციატორებად არ უნდა ვიქცეთ, ძმათა შორის პაექრობის, ბრძოლის გაღვივების ჟინით შეპყრობილ ბრმა იარაღად არ უნდა წარმოვჩნდეთ. ასეთ შემთხვევაში „მესამე" ანტიეროვნულ ძალას, მხარეს გამარჯვების მეტი შანსი ეძლევა. პრესა, ჟურნალისტი, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მოვლენათა განვითარების წინათგრძნობას უნდა იჩენდეს, საზოგადოების, პარტიების, ადამიანების მაორგანიზებელ, წარმმართველ ძალას წარმოადგენდეს, —ამაშია „მეოთხე ხელისუფლების" მსახურთა მთავარი მოწოდება და დანიშნულება.

გაზეთი, ჟურნალისტი აქტიური, პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული გზების მაძიებელია, მომგებიანი, მოზომილი ტაქტიკის და სტრატეგიის გამტარებელი, მებრძოლი ძალაა, ამავე დროს პოლიტიკური კულტურის დამფუძნებელი, პლურალისტური აზროვნების ცხოვრებაში გამტარებელია.

პრაქტიკა, ცხოვრება განსჯის, მოვლენათა სვლა-განვითარება დაგვანახვებს, ვინ რად ღირს.

„ცხოვრება" თუ... მისი ოპონენტი ჟურნალისტები, მწერლები, მკითხველი საზოგადოება.

და აი, პირველი არაორდინალური ნაბიჯი, ფაქტი.

1991 წლის 18 თებერვალს საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში", საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ლიდერმა, ბატონმა ავთანდილ მარგიანმა თანამდებობიდან გადადგომა განაცხადა. ასეთივე ნაბიჯი გადადგა საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცკ-ის მდივანმა იდეოლოგიის დარგში ბატონმა გერმანე ფაცაციამ.

ამავე დროს მათ ქართველ ხალხს, საზოგადოებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რიგით წევრებად სამსახური აღუთქვეს.

ვერაფერს იტყვი, არაორდინალური ნაბიჯია. მოვიცადოთ, ვნახოთ მოვლენები როგორ განვითარდებიან.

ახლა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე სათქმელი, სამოქმედო ჯერი გაზეთ „ცხოვრებაზეა".

მჯერა, ადრე თუ გვიან ასედაც მოხდება.

ის, რაც მოხდა, იქნებ ქართული პრესის, ჟურნალისტების დამსახურებაც იყოს.

13 თებერვალს თბილისში შემდგარ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე ა. მარგიანმა მოხსენებაში აღნიშნა:

**„ჩვენ მოველით, რომ პარტიის საინფორმაციო საშუალებათა სისტემაში განსაკუთრებულ როლს შეასრულებს გაზეთი „ცხოვრება", რომელმაც ენერგიულად დაიწყო თავისი საქმიანობა. ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს გაზეთის პირველივე ნომრები, სადაც ოფიციალური პარტიული დოკუმენტების გვერდით დაბეჭდილია არაერთი პრინციპული ხასიათის მასალა". (ხაზი ჩემია. ა. გ.).**

შემდეგ ა. მარგიანი ხაზს უსვამს, „...ასეთ პირობებში სრულიად გაუგებარია საქართველოს კომპარტიისადმი ის ტენდენციური, აშკარად მტრული დამოკიდებულება, რომელსაც მის მიმართ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იჩენენ".

ეს სიტყვები ითქვა 13 თებერვალს, 18 თებერვალს კი ა. მარგიანი გადადგა.

ძნელია მის სუბიექტურ შეფასებებს დაეთანხმო. საქართველოს კომპარტია, მისი იდეოლოგიური „საყვირი" გაზეთი „ცხოვრება" დაკარგული ფსევდოფასეულობების, პირველობის, დიქტატის დაბრუნების ცდაშია უფრო.

იქნებ ამიტომაც ბატონმა ავთანდილ მარგიანმა იგრძნო, რომ ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა შეუძლებელია და... დატოვა ასპარეზი.

ახლა მომავალი „სამოცდაცამეტი" წელიწადი სხვას დავაცადოთ. იქნებ უკეთესი რამ მოიმოქმედონ?! უარესი რომ შეუძლებელია, საკამათო არ უნდა იყოს.

პრესის „სარკეში" თქვენ ყოველდღიურად, მარადჟამ, განუწყვეტლივ იყურებით.

ცხოვრება რთულია. ამ ცხოვრებაში დასაქმებული, მოღვაწე ჟურნალისტიც ზოგჯერ „ჭრელია", რთული შესაცნობი, მაგრამ მაინც შესაცნობი.

რესპუბლიკის პრესა, ქართული გაზეთები, ჟურნალისტები — „მეოთხე ხელისუფლება", ერის, ჩვენი საზოგადოების, თქვენი ჭეშმარიტი მსახურია.

ჩვენ, ჟურნალისტები, — თქვენთან ერთად, — პატივცემულო მკითხველო, ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც, ადამიანები ეროვნული, იდეოლოგიური, რელიგიური საწყისებიდან გამომდინარი უფრო მეტად შორდებიან ერთმანეთს. ასეთ დროში, ვითარებაში საკუთარ პიროვნებაში უნდა განისაზღვრო: იყო „მსხვერპლის" მხარეს—და არა მოძალადის, ჩაგრულის — და არა მჩაგვრელის პოზიცია გეკავოს. ეს ქრისტიანის პოზიციაა.

ჩვენ არა ვართ საკუთარი თავისადმი მომთხოვნები, მხოლოდ სხვისგან მოვითხოვთ.

დღეს საშუალება გვეძლევა შიდამზერა მივაპყროთ არა მხოლოდ მძაფრად მიმდინარე მოვლენებს, გარემოს, სხვას, არამედ საკუთარ არსებაშიც ჩავიხედოთ, ობიექტურად შევაფასოთ.

აღსარების ლიცაპზონს ნუ შევიზღუდავთ.

კომუნისტურმა იდეოლოგიამ, აღზრდამ (თუ ამას აღზრდა შეიძლება ვუწოდოთ?) მიგვაჩვია კოლექტიურად ვიძახოთ: „ჩვენ"... და მხოლოდ „ჩვენ". ვინ „ჩვენ"? „ჩვენ" „მე"-დან იწყება, იღებს სათავეს. თავის დაიწყება ყველას დაიწყებას გულისხმობს.

ცხოვრების კონვეიერი კი მიდის... მიედინება... არ წყდება.

ჩვენი ფესვები — ჩვენი სულიერი ყოფაა. ადამიანი საკუთარი შესაძლებლობების იმედით არის.

ერთ დიდ მოაზროვნეს ცხოვრების შედეგის გამოყვანისას უთქვამს: „...მე ჩემს უნიათო ცხოვრებას ვნანობ".

ვიმედოვნებთ, წინ... უსასრულობაა.

**ავთანდილ გველესიანი**

# სასჯელი „დიდი ადამიანის" პორტრეტის შეურაცხყოფისათვის

## ანუ საინტერესო ისტორია კაცისა, რომელმაც 1978 წელს დახია ლეონიდ ბრეჟნევის სურათი

იმ პერიოდში, რომელიც „უძრაობის წლებად" მოინათლა, ხშირად ხდებოდა ხოლმე ფრიად მოულოდნელი მოვლენები. ასე მაგალითად, გაიღვიძებდი ერთ მშვენიერ დილას და შეიძლებოდა საბჭოთა ადამიანებზე „ზრუნვით" დღედაღამ ჩაფიქრებულ ხელისუფლებას ყოველგვარი შეთანხმებისა და წინასწარი ცნობის გარეშე, გაედიდებინა ფასები საქონელზე, ტაბუ დაედო ამა თუ იმ ნაწარმოებისთვის, შეეცვალა ესა თუ ის სახელწოდება და ასე შემდეგ. იმედია, ჩამოთვლა არ დაგვჭირდება, ისედაც ნათელია და „მახლობელი" ის დრო. თავიანთ ხალხთან სწორედ ამგვარი დამოკიდებულების შედეგი იყო საქმე № 1/120. იგი განხილული იქნა 1978 წლის 17 აპრილს (თარიღი, ალბათ გეცნოთ, თოთხმეტი აპრილიდან სულ რაღაც სამი დღეა გასული) და იმ პიროვნებას, ვის მიმართაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, სასჯელის ზომად აკმარეს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის კოლონიაში, თუმცა კი ბოლოს იგი სამი წლით პირობითი სასჯელით შეუცვალეს.

მაგრამ ქარაგმებით საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, უმჯობესია პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

იმ დღეს, 1978 წლის 1 მარტს ვახტანგ ამირხანაშვილის უცნაური ამბოხი ბოროტ ხულიგნობად იქნა მიჩნეული. მოხდა ისე, რომ იმ დილით, სამსახურში მისულმა ვახტანგმა ერთ-ერთ პარტიულ გაზეთში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის „მორიგი წყალობით" (სხვადასხვა საქონელზე ფასების მომატება) გამოწვეული სიხარული ვერ დაფარა. ძალიან აღელდა და როგორც განაჩენშია ნათქვამი, კედლიდან ჩამოგლიჯა და დახია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ბრეჟნევის პორტრეტი. შემდეგ მან პორტრეტიდან ამოხია ორი მედალი (ალბათ, სოციალისტური შრომის გმირობის მაუწყებელი), მესამე მედალი მისცა ერთ-ერთ თანამშრომელს, მეოთხე მედალი მეორე თანამშრომელს შესთავაზა, მაგრამ მან მეტი პოლიტიკური „სიფხიზლე" გამოიჩინა და არ აჰყვა „პროვოკაციას"... (შემდეგში სწორედ მან „ჩაუშვა")!

მოკლედ, კაცს გაბრაზება არ აცალეს, სახელდახელოდ „გამოცხვა" საქმე და ვახტანგ ამირხანაშვილი ცნობილი იქნა სისხლის სამართლის დამნაშავედ. დანარჩენი, როგორც იტყვიან, „ტექნიკის საქმე" იყო და 1978 წლის 17 აპრილს შედგა სასამართლოც. თუ როგორ მიმდინარეობდა ის, ამაზე ვახტანგის ერთ-ერთ მინიატურაში ამოიკითხავთ, რომელსაც აქვე ყოველგვარი შესწორების გარეშე გთავაზობთ. აქვე ვბეჭდავთ მის სხვა მინიატურებსაც. იმედია, ჩვენს მკითხველს ისინი გულგრილს არ დასტოვებს.

**გიგლა გოგეჩია**

### „დიდი ადამიანი"

1978 წლის მარტის ერთი მშვენიერი დღეა. სამსახურში ვარ. დილის გაზეთებს ვკითხულობ... „კიდევ ამდენი სულელური ტყუილი!" — ავდექი, ჩამოვგლიჯე კედლიდან ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტი, „მოვხსენი" ჩინ-მედლები, სურათს სანაგვეში გადავუძახე...

შვებით ამოვისუნთქე.

მეორე დღესვე მოვიდნენ. მიმაბრძანეს სადაც ჯერ არს. ერთი თვის შემდეგ — სასამართლო:

— საუბარში არ ახსენო არც „ბრეჟნევი" და არც „გენერალური მდივანი", — მაფრთხილებენ სასამართლოს დაწყებამდე.

— აბა რა სახელით მოვიხსენიო?

— მოიფიქრე!

— „დიდი ადამიანი" შეიძლება?

— კარგია! — მომიწონეს.

. . . . . . . . . . . .

პროკურორი: „ილია ჭავჭავაძის სურათი რომ დაგეხია, გიშველიდით, ეს კი შეუძლებელი საქმეა..."

(დასასრული მე-8 გვ.)

ღორძინება რგო

გვერდის ხარისხები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.




— წიგნების —

— გაზეთებისა და ჟურნალების —

— რეკლამებისა და პლაკატების —

— ბლანკების —

## აწყობა — დაკაბადონებას.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები უახლესი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით თქვენს დაკვეთას დროულად და უნაკლოდ შეასრულებენ.

აწყობა-დაკაბადონება ხდება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე თქვენს მიერ შერჩეული შრიფტებით.

ცენტრი შემოგთავაზებთ შრიფტების ფართო არჩევანს.

**ჩვენი მისამართია: თბილისი. წერეთლის 130.**

**ტელეფონი: 35-26-44**

## ჭაბუკებო და ქალიშვილებო! ბატონებო და ქალბატონებო!

ყველას: ვისაც სურს ქართული ოჯახის შექმნა, გიწვევთ გაცნობის კერძო ბიურო „ბევრეთი“.

ბიუროს დიასახლისი უშუალოდ დაგეხმარებათ თქვენთვის სასურველი ცხოვრების თანამგზავრის მოძებნასა და შერჩევაში.

ცნობებისათვის დარეკეთ: 38-76-97 8 საათიდან 6 საათამდე.

მობრძანდით, გისურვებთ ბედნიერებას!

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

## მიმდინარეობს მიღება

**მსუბუქი ავტომობილების მძღოლთა მომზადების მოკლევადიან კურსებზე.**

**ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 68-39-30 (14.00 სთ-დან 19.00 სთ-მდე).**

**მისამართი: გლდანის მე-3 მ/რ, კორპუსი 74.**

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

## სამუშაოდ ვიწვევთ

ქართულ ენაზე მბეჭდავებს, რომლებიც იმუშავებენ ხელშეკრულებით მათთვის სასურველ დროს.

ცნობებისათვის დარეკეთ 35-26-44

ჩვენი მისამართია: წერეთლის 130.

# „ჩვენ და საქართველო“

სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ ასოციაცია „ამაღლება“, რომლის მიზანია ეროვნულ-ზნეობრივი იდეალების, ტრადიციულ ღირებულებათა და ეროვნული კულტურის აღორძინება-განვითარება, ეროვნული ცნობიერების ამაღლება, მიიჩნევს, რომ მოზარდებში აუცილებელია ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, მათი შემოქმედებითი საქმიანობის კოორდინირება, პროფესიული ორიენტირება და სამეცნიერო ინტერესების განვითარება.

ამ მიზნით ასოციაციას დასახული აქვს სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს კონკურსი „ჩვენ და საქართველო“. კონკურსი გამოავლენს მოზარდთა სწრაფვას, მათ ინტერესებს, აიძულებს უფრო ღრმად ჩაიხედონ საქართველოს აწმყოსა და წარსულში. სრულყონ თავიანთი ცოდნა, სრულფასოვნად აითვისონ ქართული მწერლობა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, კულტურა და რელიგია, ჩაწვდნენ მეცნიერების სიღრმეებს.

გადადგმულია პირველი ნაბიჯი. სულ მალე, ა. წ. 9 მარტს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დიდ სააქტო დარბაზში, რომელიც უსასყიდლოდ დაუთმო კონკურსის მონაწილეებს ინსტიტუტის რექტორატმა, რისთვისაც ასოციაცია უღრმეს მადლობას უხდის მათ, გაიმართება კონკურსის „ჩვენ და საქართველო“ პირველი ეტაპის პირველი ასპარეზობა. ერთმანეთს ხვდებიან თბილისის ვაკის რაიონის 165-ე (დირექტორი ნ. კირვალიძე) და გლდანის რაიონის 39-ე (დირექტორი ა. ჟღენტი) საშუალო სკოლების მოსწავლეთა გუნდები.

კონკურსს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მაღალზნეობრივი მხარე აქვს. ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული მთელი შემოსავალი გადაეცემა ასოციაციაში დაფუძნებულ საქველმოქმედო საძმოს „ქართული გული“ რომელიც მიზნად ისახავს მძიმე ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილი ბავშვების დახმარებას.

კონკურსს ჰყავს პირველი მეგობრებიც, პირველი სპონსორებიც, მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამ ჭეშმარიტად მამულიშვილურ წამოწყებას გვერდზე დაუდგება არა მხოლოდ ერთი და ორი პიროვნება, თუ ორგანიზაცია, არამედ საქართველოს მთელი საზოგადოებრიობა.

**ბელა კობეშავიძე,**
**ასოციაცია „ამაღლების“ თავმჯდომარე,**
**ირაკლი მარგველაშვილი,**
**საქველმოქმედო საძმო „ქართული გულის“ თავმჯდომარე.**

**მათ, ვინც გამოიჩენს ინტერესს აღნიშნული კონკურსისადმი, შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ტელეფონით: 99-85-77**

# სასჯელი „დიდი ადამიანის“ პორტრეტის შეურაცხყოფისათვის

(დასასრული)

სამი წლის პირობითი სასჯელი! მაინც ბედნიერი ვარ. დამსაჯეს როგორც ბოროტი ხულიგანი.

### ჰუმანური დრო

რამდენი არ მეპატიჟეს და მაფრთხილეს, ამა და ამ დღეს კომკავშირის კრებაა დანიშნულიო, მაინც დამაგვიანდა.

„დამსწრემ“ დამტუქსა, — დააგვიანე, ვაჟბატონო! — კეთილინებე და სიტყვით გამოდიო.

გამოვედი და ვთქვი: ეს ჩვენი კომკავშირული ორგანიზაცია არაფერს ვაკეთებთ, მხოლოდ. ვლაპარაკობთ და ვლაპარაკობთ, საქმისათვის თითს თითზე არ ვაკარებთ... და ა. შ. მოკლედ, კრიტიკულად გამოვედი. კრება ჩაიშალა.

მერე პარტიის რაიკომიდანაც დარეკეს მუქარით. — თქვენთან ანტიპარტიული გამოსვლა ყოფილა, ლენინური კომკავშირი შეურაცხყვიათო.

მოვიდნენ და გამრიცხეს.

მოგვიანებით ქვლავ მოვიდნენ და „აღმადგინეს“.

ერთ-ერთმა „აღმდგენელმა“ განზე გამიხმო და მითხრა: „ბედს უმადლოდე, ჰუმანურ დროში ვცხოვრობთ!“

### პოლიტიკური სიცილი

პოლიტიკური წიგნის მაღაზია.

შეხვედრა სამამულო ომის ვეტერანებთან.

მოგონებები... მოგონებები...

ერთი გადამდგარი პოლკოვნიკი ყვება: „ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გვერდით ვიბრძოდი. დიდად ჰუმანური, ერთგული და თავდადებული მებრძოლი იყო. დღეს რომ ცოცხალი ვარ, მის ადამიანობას ვუმადლი; ერთხელ შინიდან ამანათი მივიღე. ცხადია, მამაპაპური „ჭაჭაც“ გამომიგზავნეს... სუფრას მივუსხედით ლეონიდ ილიას ძე, ერთი ჩვენი თანამებრძოლი და მე. უცებ საჰაერო განგაში ატყდა, ყველამ იარაღს დასტაცა ხელი და გარეთ გავარდა. მეც წამოვიწიე, მაგრამ ლეონიდ ილიას ძემ ხელი მომკიდა და ძალით დამსვა ადგილზე.

ჩვენი საქმე განვაგრძეთ.

რამდენიმე საათის შემდეგ თითო-ოროლა კაცი დაბრუნდა უკან. აი, ასე გადამარჩინა ძვირფასმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, მას ქართველები უყვარს“, — დაასრულა სიტყვა ვეტერანმა და ცხვირსახოცი ამოიღო.

აქეთ-იქეთ ჩუმად. ჩაიცინეს.

თავი ველარ შევიკავე და გადავიხარხარე.

უფროსების მკაცრი მზერა.

მივხვდი, სიცილი პოლიტიკურად ჩამითვალეს.

### ლექტორი

უნივერსიტეტის ფართო აუდიტორია. კათედრასთან დგას მწყაზარი, სუფთად პირგაპარსული, ჰალსტუხით დამშვენებული ლექტორი; შთაგონებით ანთებული თვალები ერთი წერტილისათვის მიუპყრია, მარჯვენა ხელი ზომიერად შეუმართავს და საამოდ ღაღადებს. სტუდენტები სულგანაბული ვუსმენთ.

საუბრის თემაა პროგრესული კაცობრიობის ყველაზე საყვარელი ადამიანის — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მამაშვილური ზრუნვა საბჭოთა და მსოფლიო ახალგაზრდობაზე.

— მას თქვენ ძალიან უყვარხართ! მან სტიპენდია მოგიმატათ! მქუხარე ტაში პასუხად.

— რატომ არ უკრავთ ტაშს? — მეკითხება ლექტორი.

— სტიპენდიას არ ვღებულობ.

— ახლავე წამობრძანდით დეკანატში.

დეკანატმა სტიპენდია დამინიშნა.

— გახსოვდეს, ეს ბელადის დამსახურებაა, — მეუბნება შთაგონებული ღიმილით სახეგაცისკროვნებული ლექტორი.

**ვახტანგ ამირხანაშვილი**
(1970 წ.)

## მაღალი კლასის სპეციალისტებს — მაღალი ანაზღაურება!

სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“ სამუშაოდ იწვევს უცხო ენების: იტალიურის, თურქულის, ინგლისურის, ფრანგულის, გერმანულის, ესპანურის მცოდნე პირებს.

უცხო ენის კონსულტანტის მოვალეობაში შედის მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან, საბირჟო დოკუმენტების დამუშავება, სინქრონული თარგმნა.

გათვალისწინებულია მივლინებები საზღვარგარეთ.

ანაზღაურება — შრომითი შეთანხმების მიხედვით.

მიმართეთ მისამართით: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ., 71. ტელ. 74-62-66.

**სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“ სარეკლამო სააგენტო „მიმი-ნო“**

**ა. წ. 11 მარტს** 14.00 საათზე ყოფილ პოლიტგანათლების სახლის შენობაში, დავით აღმაშენებლის გამზ. № 61, გაიმართება საქართველოს სახალხო ფრონტის მორიგი სხდომა.

**საქართველოს სახალხო ფრონტის სამდივნო**

## სიკეთის ნერგი ხარობს...

ხანდაზმული ინვალიდების ჰირვარამის გამზიარებელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება ჩვენს ქალაქში. ცენტრალური კლინიკური რესპუბლიკური საავადმყოფოს შრომითი კოლექტივის მოსაკითხს ჩვენს ყველაზე უქონელ თანამოქალაქეებს ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენის წევრები ამ შაბათს ბინებზე მიაწვდიან.

**სათნოების ორდენი**
**(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“).**

## ძვირფასო მანდილოსნებო!

ვისაც გსურთ მოიხსნათ ჩაცმის პრობლემა შეისწავლეთ ჭრა-კერვა, უთარგოდ ჭრა, ამისათვის დაგჭირდებათ 4 თვე და თქვენი მონდომება. ცნობებისათვის დარეკეთ: ტელ. 96-14-57.

**ანა ბურჭულაძე**

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая «Ахалгазрда Иверипели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-90-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხ. შარაულის 29.

№ 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.